# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 20 დეკემბერი 2003 №243 (2014) ფასი 50 თეთრი




# ვინ დაიჭერს ოქროს ბურთს?

## ორშაბათს France Football ევროპას ეტყვის ეს!
















# სარბიელის ვერსია



## გუშინ რიო ფერდინანდი რვა თვით გააუქმეს, 50 ათასი ევროთი გააღარიბეს და ევროპის ჩემპიონატი ჩამოართვეს

იხილეთ მეხუთე გვერდი



## ვახტანგ ნაცვლიშვილი: შევკრიბოთ საქართველო!

ნაკრების კაპიტანს ბრაიკოვიჩის დინამოს შეკრება არ აინტერესებს

იხილეთ მეცამეტე გვერდი

## მომავალი წლიდან სარბიელი ორშაბათსაც გამოვა

გუშინწინ „მილანი“ იტალიის თასის მეოთხედფინალში გავიდა. „შავ-წითლებმა“ საპასუხო შეხვედრაშიც 1:0 დაამარცხეს გენუის „სამპდორია“.

მატჩს „რაიუნო“ გადასცემდა და ვინც ეს შეხვედრა იხილა, ალბათ, ჩვენებური კახა კალაძით უკმაყოფილო არ დარჩენილა.

კახამ ჩინებულად ითამაშა. ერთადერთი გოლიც ფილიპო ინძაგიმ სწორედ კალაძის ბრწყინვალე პასით შეაგდო.

ნამატჩევს „როსონერის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ კალაძის და ინძაგის კარგ თამაშს გაუსვა ხაზი და იქვე ბრაზილიელი სერჟინიოც გამოარჩია, მძიმე ტრავმების მერე ძირითადის ეს სამეული ნელ-ნელა ოპტიმალურ ფორმას უახლოვდებაო...



# ფიფას კალაძეც არ ეთანხმება
## კახას ქართული ჭაობის ეშინია

— კმაყოფილი ვარ, სამი თვის უთამაშებლობის მერე სასურველ ფორმაში ნელ-ნელა შევდივარ — გვითხრა კახა კალაძემ, როცა მილანელოში, საწვრთნელ ბაზაზე დავუკავშირდით — მეოთხედფინალში გასვლითაც, რა თქმა უნდა, გავიხარეთ.

— მეოთხედფინალში კი მეტოქედ ის „რომა“ გეყოლებათ, რომელსაც შარშან თასის ორმატჩიან ფინალში მოუგეთ...

— „რომა“ ძლიერი გუნდია, ჩემპიონატშიც კარგად თამაშობს და მეოთხედფინალშიც დამსახურებულადაა გასული. ერთი სიტყვით, ღირსეულ მეტოქესთან ორი ძალიან ძნელი ბარიერის გადალახვა მოგვიწევს.

— „სამპდორიასთან“ მატჩს დავუბრუნდეთ: ანჩელოტიმ შენ, პიპო ინძაგი და სერჟინიო გამოგარჩიათ, უმძიმესი ტრავმების მერე კარგად ითამაშეს და ფორმაშიც შედიანო...

— ალბათ იმიტომ, რომ გოლი, ფაქტობრივად, ჩვენ გავაკეთეთ — კუთხურისას სერჟინიომ პასი მომცა და საჯარიმოში არშესულმა ინძაგის ჩავაწოდე. პიპომაც ბურთს ფეხი დაუხვედრა. ერთი სიტყვით, დამუშავებული კომბინაცია გავითამაშეთ.

— ვივარაუდოთ, რომ კვირას „უდინეზესთან“ მატჩსაც სასტარტოში დაიწყებ?

— არაა გამორიცხული. მე ვიმედოვნებ, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, რას ფიქრობს ანჩელოტი.

— „უდინეზესთან“ ითამაშებთ და მერე საშობაო-საახალწლო არდადეგებზეც წახვალთ...

— მხოლოდ ექვსი დღით გვათავისუფლებენ. 6 იანვარს ჩვენსავით სკუდეტოს მაძიებელ „რომასთან“ ძალიან პრინციპული მატჩი გველის და მაგრად უნდა მოვემზადოთ.

— ანუ საახალწლოდ თბილისში ვერ ჩამოხვალ...

— ძალიან კი მინდოდა, მაგრამ არანაირად არ გამოვა.

**— ახლახან ჯენარო გატუზომ და კარლო ანჩელოტიმ ფიფა გააკრიტიკეს, ზინედინ ზიდანი ძალიან მაგარი ფეხბურთელი კია, მაგრამ წლეულს მსოფლიოს საუკეთესოობას არ იმსახურებდაო...**

— ორივეს ვეთანხმები და არა იმიტომ, რომ მეც „მილანის“ ფეხბურთელი ვარ. ცხადია, ზიდანის შესაძლებლობები ეჭვს არ იწვევს, მაგრამ საუკეთესოობას ნამდვილად არ იმსახურებდა. ჩემი აზრით, წლეულს საუკეთესო პაოლო მალდინია, მის წარმატებულ კარიერაზე რომ არაფერი ვთქვათ, ყველა ხედავს, ასაკის კვალობაზე როგორაც თამაშობს. მალდინის გარდა შევჩენკოს და ნედვედს ჰქონდათ ბრწყინვალე სეზონი. ჩემი სამეულიც ეგაა.

**— ახლა საქართველოშიც გადმოვინაცვლოთ. ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია რომ დაპატიმრებულია, ცხადია, გეცოდინება...**

— რა თქმა უნდა და ძალიან მოულოდნელიც იყო ჩემთვის. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ნაკლები ინფორმაცია მაქვს, რა ხდება?

**— ჟორდანიას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს...**

— ფედერაციის პრეზიდენტი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართულ ფეხბურთში. ამის გამო ვინძლო, ზიანიც მიადგეს ჩვენს ფეხბურთს. მე მაინც მგონია, რომ მერაბ ჟორდანიას მალე გაათავისუფლებენ.

**— ამბობენ, ჟორდანიას დაპატიმრება საქართველოს ნაკრებისთვის უცხოელი მწვრთნელის დანიშვნას გააჭიანურებს, შესაძლოა, საერთოდ არც მოიწვიონ და ეროვნული გუნდი ისევ ქართველს ჩააბარონ...**

— მერე ეგ კარგია? გვექნება იგივე პრობლემები, რაც აქამდე გვქონდა. უცხოელი და მართლა მცოდნე მწვრთნელი შეძლებს, გვათამაშოს თანამედროვე ფეხბურთი გამართული ტაქტიკით და სწორი მიმართულებითაც გვატაროს. ქართველი მწვრთნელები აქამდეც გვყავდა და ყველამ ვნახეთ, რასაც მივაღწიეთ. თუ მართლა სურთ, რომ ნაკრები კვლავაც ქართველმა გაწვრთნას, ჩათვალეთ, რომ ჭაობიდან კარგა ხანს ვერ ამოვალთ.

**გიორგი ვაშაძიძე**



## ჰოლანდია

მეორე დივიზიონი. XX ტური

კამბური 1:2 სპარტა
ექსელსიორი 5:3 იგლსი
ეინდჰოვენი 1:2 ჰელმონდი
ჰერაკლესი 1:1 დორდრეხტი
მაასტრიხტი 0:2 აპელდორნი
ტელსტარი 3:1 ვენლო
ოსი 1:4 ემენი
ვეენდამი 2:0 ჰაარლემი

## ინგლისი

III დივიზიონი. XXII ტური

დონკასტერი 3:1 სუონსი
ნორთჰემპტონი 1:2 კემბრიჯი

კონფერენს ლიგა
XXIII ტური

ფორესტ გრინი 1:7 ჰერეფორდი

## პორტუგალია

სუპერლიგა. XV ტური

ბოავიშტა 0:3 ჟილ ვისენტე

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XIX ტური

ლიონი 1:1 პსჟ

## მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

მატჩი III ადგილისთვის

კოლუმბია 2:1 არგენტინა

ფინალი

ესპანეთი 0:1 ბრაზილია

# ორშაბათიდან: ბენდელას თასი ყველასთვის



**ორშაბათს** თბილისის სპორტის სასახლეში „ბენდელას თასის“ გათამაშება დაიწყება. ტურნირი ხომ ტრადიციულია და გუშინ ორგანიზატორებმა წილისყრაც ასევე ტრადიციულად, კუს ტბაზე ჩაატარეს.

ტურნირში სამ ჯგუფად დაყოფილი 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. მეოთხედფინალებში ჯგუფში ორი საუკეთესო და ორიც საუკეთესო მესამეადგილოსანი ითამაშებს.

I ჯგუფი: *„დინამო“, „ოკისლაინი“, თსუ, „ნაციონალი“*

II ჯგუფი: *„ლოკომოტივი“, „მაისი“, „ვაკე 91“, „ჩიხურა“*

III ჯგუფი: *„თბილისი“, GVS, „კახეთი“, „ზოოვეტი“*

„ოკისლაინი“ ბენდელას მეგობრების გუნდია, რომელიც პერიოდულად იცვლის ხოლმე სახელს, ადრე მეგობრების გუნდი „ბენდელა“, მერე კი „ლეგიონერები“ იყო და ყოველთვის ფავორიტად ითვლებოდა. „ოკისლაინში“ წლეულს გიორგი დემეტრაძეც იქნება. მის გარდა კი სპორტის სასახლეში გიორგი ანჩაბაძე, ალეკო გოგობერიშვილი, ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული, გიორგი დეკანოსიძე, გელა ქორიძე და მინი-ფეხბურთის სხვა „სპეციალისტები“ ითამაშებენ.

პარალელურად, ასევე ტრადიციულად გაიმართება ბავშვთა ტურნირიც, რომელშიც 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის ფოთის, ქუთაისის, ხობის, თერჯოლისა და ზუგდიდის გუნდები. ბავშვთა თამაშები 12 საათზე დაიწყება. ტურნირის ბოლოს კი თავის მინი-ტურნირს ვეტერანებიც გამართავენ.

„ბენდელას თასის“ ბოლო გამარჯვებული კი „ლოკომოტივია“.

**კობა ინასარიძე**

# მცხეთამ თავი იპოვა
## გუცაევმა შტელინი მოიყვანა და კიდევ მოიყვანს

**ჩავთვალოთ**, რომ „მცხეთას“ ახალი მწვრთნელი ჰყავს. კლუბის პრეზიდენტი ვლადიმერ გუცაევი უკვე შეუთანხმდა უკრაინული წარმომავლობის ბელგიელ ალექსანდრ შტელინს და ნაახალწლევს მას საქართველოში დააბრუნებს.

შტელინი, გეხსომებათ, ერთი წლის წინ ქუთაისის „ტორპედოს“ წვრთნიდა და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ურიგო სპეციალისტად არ ითვლებოდა. ქუთაისიდან დათხოვნის შემდეგ უმუშევარი იყო, უკრაინული და რუსული გუნდებიდან რამდენიმე წინადადება კი ჰქონდა, მაგრამ იმხანად შვილი დაელუპა და საქმისთვის ვეღარ მოიცალა. მერე შტელინს გუცაევი დაუკავშირდა და მწვრთნელობა შესთავაზა. შტელინი ცოტა ხანს დაფიქრდა, გუშინ კი „მცხეთას“ პრეზიდენტს პასუხი უთხრა — თანახმა ვარ.

ვლადიმერ გუცაევი ყველა საკითხის ერთხელაც, საბოლოოდ შესათანხმებლად ბელგიაში ჩვენი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გაემგზავრება და ძველით ახალი წლისთვის, მისი თქმით, ალბათ შტელინთან ერთად დაბრუნდება. ბელგიური შეხვედრისას გაირკვევა ასევე „მცხეთას“ ახალწვეულთა ვინაობაც. გუცაევმა შტელინს რამდენიმე ისეთი ფეხბურთელის მიწვევა შესთავაზა, რომლებსაც მწვრთნელიც კარგად იცნობს.

ბოლოს კი გეტყვით, რომ ალექსანდრ შტელინი ქუთაისის „ტორპედოშიც“ ვლადიმერ გუცაევის მიყვანილია, „მცხეთას“ პრეზიდენტი მაშინ „ტორპედოს“ მენეჯერი იყო.

**კობა ინასარიძე**




ალექსანდრ შტელინის და ვლადიმერ გუცაევის გზები ისევ შეიყარა

# წადით და აღარ დაბრუნდეთ!

## გულმოსული შედან ნანიკაშვილი ტორპედოელებს კალთებს არ ახევს

*გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ, რომ ქუთაისის „ტორპედოს" კაპიტანი ვახტანგ ხვადაგიანი დღე-დღეზე ბერძნულ „იანინასთან" გააფორმებს კონტრაქტს. ცხადია, ამ ინფორმაციამ დაგვაინტერესა — ადვილი შესაძლებელია, ხვადაგიანის გზას სხვა ფეხბურთელებიც გაჰყვნენ და „ტორპედო" მნიშვნელოვნად გადახალისდეს.*

*ამ ამბის დასაზუსტებლად გუშინ ქუთაისური კლუბის ვიცე-პრეზიდენტ შედან ნანიკაშვილს შევეხმიანეთ...*



— პირველად მესმის, რომ ხვადაგიანი გუნდიდან მიდის. მსგავსი არაფერი გამიგია. თუ ამას უჩემოდ აკეთებენ, ვერ გეტყვით. კი, ბატონო, წავიდნენ. ვისაც უნდა, გუნდი დატოვოს, ხელს არ შევუშლი. გადაგვიხადონ ფული და ვინც უნდათ, ის წაიყვანონ.

**— ხვადაგიანს „ტორპედოსთან" კონტრაქტი კიდევ აკავშირებს?**

— ერთს გეტყვით: საფეხბურთო ბაზრის კანონები ძალიან დამამცირებელია კლუბისთვის. გასაგებია, რომ კონტრაქტდამთავრებულ ფეხბურთელს ვერ დააკავებ, რადგან ამით ადამიანის უფლებები ილახება, მაგრამ კლუბს რატომ არავინ დაეძებს? ჩვენ რომ ამ ფეხბურთელებს ფულს ვუხდით, ოჯახს ვურჩენთ, შემოსავალს არ ვუხლუდავთ... და უცებ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ვუშვებთ, ეს კლუბის უფლებების შელახვა არ არის? გადატრიალებას ჩვენ ახლა ვერ მოვახდენთ, წავიდნენ. ასეთი ფეხბურთელები ჩვენთვის ისედაც ბევრს არაფერს ნიშნავს. რაც მეტი წავა „ტორპედოდან", მით უკეთესი.

**— ესე იგი, გუნდის გადახალისებას თანხმდებით?**

— აბა, რა! მე არაფერში მჭირდება ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც მხოლოდ ფული აინტერესებს. ყველაზე ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ზუსტად ვიცი, ვინ რისი მაქნისია. „ტორპედოში" რამდენიმე ბიჭია, ვისიც ბოლომდე მჯერა. დანარჩენებს არც გუნდი აინტერესებთ, არც ქალაქი უყვართ, მხოლოდ ფულზე ფიქრობენ. რა აზრი აქვს ასეთი ფეხბურთელების დატოვებას?

**— კიდევ აპირებს ვინმე „ტორპედოდან" წასვლას?**

— არ ვიცი. სიმართლე გითხრათ, ჯერ მაგ საკითხზე არ გვილაპარაკია, მაგრამ ახლავე ვამბობ, რომ ვისაც უნდა, წავიდეს! რამდენიმე ფეხბურთელი იყო გუნდში, რომელსაც ბევრი წელი გაუტარებია ჩვენთან და მათი ხათრი მქონდა. პირდაპირ ვერ ვეუბნებოდი, რომ სხვა გუნდი მოეძებნათ. თუ მათ ასეთი სურვილი აქვთ, ხელს არ ვუშლი. ოღონდ ერთი რამ იცოდნენ: უკან არ დავიბრუნებ. ახლა „ტორპედოდან" წასვლა საბოლოოდ წასვლა იქნება.

**— შევსებას საიდან მიიღებთ?**

— არ გაგვიჭირდება. ბოლოს და ბოლოს, ფარმკლუბიდან დავიმატებთ ახალგაზრდებს. დარწმუნებული ვარ, ისინი უკეთეს ფეხბურთს ითამაშებენ.

**— ლეგიონერების მიწვევაზეც იყო ლაპარაკი...**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ფული ტყუილად იხარჯება. „ტორპედომ" წლეულს ისეთ გუნდებთან წააგო, რომ... 50 და 100-ლარიანმა ფეხბურთელებმა გვაჯობეს. ამით შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ფაქტია — მონდომება და ჟინი ფულით არ იყიდება.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ერთი მაგალითი მოვიყვანოთ: თბილისის „დინამო" იხეირებს თუ საქართველოში კარგი მეტოქე არ ეყოლება? პატარკაციშვილს ფულში ნაღდად ვერ ვაჯობებთ, მაგრამ არც ისაა კარგი, რომ ამ გუნდს სათადარიგოთა სკამზე ჯდომით ფეხბურთელის „გაფუჭება" შეუძლია. ასე არ უნდა ხდებოდეს. ამით ვერც „დინამო" გაძლიერდება და ვერც „ტორპედო" ან სხვა ნებისმიერი ქართული კლუბი.

**— როგორც ჩანს, „დინამოდან" რომელიმე ფეხბურთელის წაყვანა გსურდათ და...**

— ამას ზოგადად ვამბობ. გვარამაძე ჩვენთან იყო, თამაშობდა, მაგრამ მერე „დინამომ" წაიყვანა და სათადარიგოთა სკამზე დასვა. ამით კი ჩვენც დაგვასუსტა და თავადაც ბევრი ვერაფერი მოიგო. ახლა „ბათუმიდან" კაკალაძის გადაბირება გვინდოდა და... ალბათ, ეს ბიჭიც „დინამოში" გადავა, მაგრამ ეჭვი მეპარება, იქ თამაშის საშუალება მიეცეს.

**— „ტორპედოს" დავუბრუნდეთ. გაზაფხულიდან უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოგიწევთ ბრძოლა...**

— ცოტა ხანში დავლაგდებით. საბედნიეროდ, გუნდში არიან ისეთი ბიჭები, ვისიც მეიმედება. ნერგაძე, ბაბუნაშვილი, გამეზარდაშვილი, ნადირაძე, დარსაძე... ამ ბიჭებზე დაყრდნობა შეიძლება. ახლახან კლუბის პრეზიდენტ ზურაბ ხინიკაძესაც ველაპარაკე და მითხრა, ვინც გასაშვებია, გაუშვიო. ვნახავთ, გუნდს შევკრებთ და მეორე ეტაპისთვის მოვემზადებით.

**— საწვრთნელ შეკრებას სად გაივლით?**

— ანთალიაში. ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ახლა გუნდია დასაკომპლექტებელი.

**ქახა შალამბერიძე**

*პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ „დინამომ" და „თბილისმა" ჟურნალისტებთან ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრა გამართეს და მერე ჯეროვნად აღნიშნეს საშემოდგომო წარმატება. ამ ორს შეუერთდა გუშინ ბოლნისური „სიონიც", თუმც ქვემოქართლელთა გუშინდელი თავყრილობა უფრო წარმომადგენლობითი იყო, რაკილა სიონელებმა სფფ-ის ჩინოსნები, ფეხბურთელები და გულშემატკივრებიც იწვიეს დიდ ბანკეტზე*



# მე წავედი!

## ზურაბ ჯაფარიძე სიონს ჭიქით ხელში დაემშვიდობა

**საშემოდგომო** ეტაპის შედეგების გათვალისწინებით, ბოლნისელებს გუშინ ჯეროვნად მოლხენის საკმაო საფუძველი ჰქონდათ, რაკილა მათმა გუნდმა ისტორიაში პირველად ჩაამთავრა მესამე ადგილზე ჩემპიონატის ნახევარი, თუმც გუშინდელ პურადობას საზეიმო განწყობა მაინც აკლდა. მიზეზი ბოლნისის ყოფილი გამგებლის განცხადება გახლდათ. მე წავედი — თქვა ზურაბ ჯაფარიძემ და მის მიერ ორგანიზებული გუშინდელი შეხვედრა ერთგვარად ჯაფარიძის „სიონთან" გამოსამშვიდობებელ საღამოდ იქცა.

ზურაბ ჯაფარიძემ, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ბოლნისური ფეხბურთის აღზევებაში, რამდენიმე დღის წინ გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების განცხადება დაწერა. „სიონი" უწყებრივი კლუბია და ამდენად ჯაფარიძის სახით დიდი ხელშემწყობი დაკარგა.

გუშინდელ ბანკეტზე ბოლნისის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით ჭიჭიკოშვილიც იყო მიწვეული, თუმც იგი ქვემო ქართლის გუბერნატორს უნდა შეხვედროდა და თბილისურ რესტორან „ბოლნისში" მოსვლა ვერ შეძლო.

„სიონის" მწვრთნელ-ფეხბურთელებს მხოლოდ ერთი კითხვა აწუხებდათ: რა ბედი ელის გუნდს? ამ კითხვაზე პასუხის გამცემი გუშინ არავინ აღმოჩნდა. თუმც მაინც იყო ოპტიმიზმი და მომავლის იმედი. ბოლნისელთა თქმით, მათ რაიონში ფეხბურთი ძალიან მნიშვნელოვანია და მას გვერდს ვერავინ აუვლის.

შეფიქრიანებული გახლდათ „სიონის" მწვრთნელი *ოთარ გაბელია*.

— რაიონის ახალ ხელმძღვანელს ჯერ არ შევხვედრივარ. არც კი ვიცი, რა გეგმები და მოსაზრებები აქვს „სიონთან" დაკავშირებით. არადა, ჩვენი გუნდის ბირთვი მოწვეული ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. მათ თუ ის პირობები მოაკლდათ, რაც ჯაფარიძეს ჰქონდა შექმნილი, ერთი წუთითაც არ გაჩერდებიან ბოლნისში. მოსამზადებელი პერიოდი ახლოვდება. ამიტომ ორშაბათსვე შევხვდები ახალ გამგებელს, გავიგებ მის მოსაზრებას, ოღონდ ჩვენ კონკრეტული, საქმიანი დამოკიდებულება გვჭირდება და არა დაპირებები, თორემ გარწმუნებთ, საგაზაფხულო ეტაპზე სულ სხვა „სიონს" იხილავს გულშემატკივარი — თქვა გაბელიამ.

სხვებზე იმედიანად იყო გუნდის ტექნიკური დირექტორი *პეტრე დანელია,* რომელიც რამდენიმე დღის წინ დავით ჭიჭიკოშვილს პირადად შეხვდა და მისგან თანადგომის და სრული მხარდაჭერის დაპირება მიიღო.

„სიონს" ერთგული, მომთხოვნი გულშემატკივარი ჰყავს. მათი თავკაცი *დავით ასათიანი,* მეტსახელად ალა გუშინ ქეიფშიც მაქსიმალისტი იყო, ჩვენთან საუბარში კი ეს თქვა: „ჯაფარიძის ხელი ყოველთვის ეტყობოდა „სიონს", მისი მხარდაჭერით მივაღწიეთ ამხელა წარმატებას, მაგრამ სხვა ვითარება არც ამის შემდეგ იქნება. ხალხზე ბევრი რამეა დამოკიდებული. ბოლნისელი გულშემატკივარი არავის მისცემს იმის უფლებას, გუნდის ინტერესები შეილახოს, „სიონი" ყოველთვის ფეხზე იდგება და ნებისმიერი გამგებლის საზრუნავი იქნება გუნდის კეთილდღეობა".

არსად წასვლას არ ვაპირებთ, ყველას გვჯერა, რომ გუნდის მიმართ ისეთსავე თანადგომას ვიგრძნობთ, როგორიც აქამდე იყო, გვითხრა „სიონის" კაპიტანმა *შალვა ისიანმა,* იგივეს ფიქრობს ჩემპიონატის ბომბარდირი *ბორის გონჩაროვიც,* რომელმაც გუშინ პირველ ეტაპზე გატანილ გოლებზე ერთი-ორით ნაკლები ჭიქა გამოცალა.

*ზურაბ ჯაფარიძის* გუნდთან გამოსამშვიდობებელი სიტყვები კი ასეთი იყო: „მე „სიონიდან" პირნათელი მივდივარ. არც ერთ თქვენგანთან ერთი დღის დავალიანებაც არ დამრჩენია. ყოველთვის ვასრულებდი იმას, რასაც გპირდებოდით. მჯერა, ბოლნისის ახალი ხელმძღვანელობაც არ მოგაკლებთ ყურადღებას და სათანადო პირობებს შეგიქმნით. მე წავედი, მაგრამ დარჩა იმხელა რესურსი, რომელიც ჩემს შემცვლელს ყველანაირ პირობას შეუქმნის საიმისოდ, რათა „სიონს" არაფერი გაუჭირვოს. მთავარია, სურვილი იყოს..."

**პაატა ქვანტალიანი**



ოთარ გაბელიას „სიონის" ბედი აფიქრებს



ჩემპიონატის ბომბარდირი ბორის გონჩაროვი ბურთებსაც და ღვინოსაც კარგად იტანს

ასეთები ღლესაც ხდება – ლანჩხუთელმა ბიჭმა მიაღწია იმას, რომ თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და ეროვნულ ნაკრებში, ასე ვთქვათ, უკვე ძირითადის კაცია...

დავით კვირკველია ახლა 23 წლის გახლავთ და „დინამოში" წინა სეზონის დაწყებამდე გადავიდა ფოთის „კოლხეთიდან", ხოლო ეროვნულ ნაკრებში პირველად ალექსანდრე ჩივაძემ მიიწვია – კვირკველიას დებიუტი საქართველოს უპირველეს გუნდში შვეიცარიასთან თბილისური მატჩისას შედგა.

კვირკველია პირველ რიგში სტაბილურობით გამოირჩევა – ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ის თითქმის უშეცდომოდ თამაშობს, აქვს კარგი კოორდინცია, ალღო და მობილურობა.

დათოსთან საუბარი, რა თქმა უნდა, „დინამოთი" დავიწყეთ



# ადამიანის შესაძლებლობები შეუზღუდავია
## წუმპეს მონდომება და იღბალი აშრობს

— გუნდში ახლა ნორმალური ვითარებაა, სიტუაცია რა ხანია, დაწყნარდა — „დინამოდან" ზოგიერთი ფეხბურთელი წასვლას აპირებს, ალბათ ახალი მოთამაშეებიც გამოჩნდებიან. ეს ჩვეულებრივი პროცესია.

**— მაგრამ ისიცაა, რომ მოთამაშეების წასვლა-მოსვლა უკვალოდ არ ჩაივლის, „დინამოს" კი მხოლოდ და მხოლოდ მაღალი მიზნების ასრულება მოეთხოვება...**

— როცა გუნდში ახალი ფეხბურთელი მოდის, ის ყველანაირად ცდილობს ძირითადში დამკვიდრებას და „დინამოში" ეს განსაკუთრებულად ხდება, რადგან ჩვენთან ძალიან მძაფრი კონკურენციაა. ვფიქრობ, ეს გადამწყვეტი ფაქტორი არ იქნება ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.

**— 23 წლის ხარ და საკმაოდ ბევრს მიაღწიე — საკუთარ თავს უკვე ისეთ ფეხბურთელად თვლი, ვისაც შესაძლებლობები უკვე გამოვლენილი აქვს?**

— შესაძლებლობები სრულად ჯერ არ გამომიმჟღავნებია, ჩემში კიდევ არის ის რეზერვი, რაც აწი უნდა ავამოქმედო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არ აქვს.

**— კლუბის ხელმძღვანელობა შენს გაშვებას ჯერ არსად აპირებს — როგორ ფიქრობ, ეს რეზერვი აქ უნდა აამოქმედო თუ უცხოეთში?**

— რა თქმა უნდა, უცხოეთში.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ „დინამოს" დატოვებ?**

— სეზონის დასრულების შემდეგ ამის სურვილი ნაღდად მექნება. კონტრაქტი კი „დინამოსთან" მომდევნო სეზონის ბოლომდე მაკავშირებს.

**— რეზერვის ამოქმედებაში კონკრეტულად რას გულისხმობ — რომელ კომპონენტში უნდა მოუმატო?**

— ყველა კომპონენტში უნდა მოვუმატო. ვფიქრობ, მკვეთრად გამორჩეული ნაკლი არ მაქვს, თუმც ურიგო არ იქნებოდა, ორივე ფეხით ერთნაირად რომ ვთამაშობდე — მე ხომ ცაცია ვარ.

**— როგორ ფიქრობ, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელს შეუძლია რუსეთ-უკრაინის წამყვან და საშუალო ევროპულ გუნდებში ფეხის მოკიდება?**

— ეს „დინამოს" ძირითადი შემადგენლობის უმეტესობას ძალუძს.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ „დინამოს" ევროტურნირებზე ისეთივე შედეგი უნდა მოვთხოვოთ, როგორსაც რუსეთ-უკრაინის წამყვანი და საშუალო ევროპული გუნდები აღწევენ?**

— რატომაც არა, მაგრამ ისიცაა, რომ წაგებასაც ვერ გაექცევი — ფეხბურთში ყველაფერი ხდება.

**— სანაკრებო მატჩებიდან საკუთარი თავის ყველაზე უფრო რომელი თამაშით დარჩი კმაყოფილი?**

— ალბათ, შვეიცარიასთან მატჩი უნდა გამოვარჩიო — ეს ჩემი სადებიუტო თამაში იყო ნაკრებში და ჯერჯერობით ყველაზე დასამახსოვრებელიც.

**— რუსეთთან თბილისურ მატჩშიც რიგიანად ითამაშე — როგორ შეგამზადათ ივო შუშაკმა ამ შეხვედრისთვის?**

— რუსების დამარცხება ნაღდად შესაძლებელიაო.

**— ეთანხმები იმ შეხედულებას, რომ შუშაკის „დინამო" ძალიან ფრთხილ, არაშემტევ ფეხბურთს თამაშობს?**

— პირიქით, ჩვენ შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ და ბევრი გოლიც გაგვაქვს. „დინამოს" ტაქტიკური სქემაც 3-5-2 შემტევი სტილის ერთ-ერთი დასტურია.

**— არც იმას ეთანხმები, რომ შუშაკის „დინამო" ერთფეროვან ფეხბურთს თამაშობს?**

— ერთფეროვან ფეხბურთს კი ვთამაშობთ, მაგრამ ეს ამართლებს.

**— „დინამოს" ფეხბურთელთა უმეტესობა BMW-თი დადის, შენც ეს მანქანა გყავს — BMW „დინამოსთვის" ერთგვარი მოდაა?**

— „დინამოს" ფეხბურთელთა უმეტესობას მართლაც BMW გვყავს, თუმც დინამოელებს რაღაც მოდა თუ ახირება არ გვჩვევია.

**— ლანჩხუთელმა ბიჭმა „დინამოში" და ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრება მოახერხე — რაიონელ ახალგაზრდას როგორ შეუძლია ამის მიღწევა?**

— მონდომებას წინ ვერაფერი დაუდგება, მაგრამ ისიცაა, რომ იღბალიც ძალიან დიდ როლს თამაშობს.

**— დათო კვირკველიას საყვარელი გუნდი, ნაკრები და ფეხბურთელი...**

— „რეალი", ბრაზილია და რონალდო.

**დავით თავართქილაძე**



დავით კვირკველიას წყალობით „დინამოს" მარცხნივ არ უჭირს

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

# ბერძნებს ჩვენამდე ბევრი საქმე აქვთ

საბერძნეთი

**მსოფლიოს** 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე საბერძნეთი მომავალ ზაფხულში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც ითამაშებს. ჰოდა, ბერძნებმაც საქმეს ხელი მოჰკიდეს და სამი ამხანაგური მატჩი უკვე დაგეგმეს: 18 თებერვალს ოტო რეჰაგელის გუნდი ბულგარეთს გაეჯიბრება, 28 აპრილს ეინდჰოვენში ჰოლანდიას ესტუმრება, 31 მარტს კი წინა ევროშესარჩევში ჩვენს ყოფილ მეტოქე შვეიცარიასთან მოსინჯავს ძალას.



ოტო რეჰაგელი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ბერძნები A ჯგუფში მასპინძელ პორტუგალიასთან, რუსეთთან და ესპანეთთან მოხვდნენ.

**ქახა შალამბერიძე**

# ინდივიდი ჭიჭველიშვილი შეუზღუდავად მიდის



**„სიონის"** გუშინდელ თავყრილობას ფეხბურთელთაგან მხოლოდ დავით ჭიჭველიშვილი აკლდა. როგორც შევიტყვეთ, მას უკრაინული „ვოლინისთვის" მოუწონებია თავი და ვოლინელებიც ქართველ მცველთან კონტრაქტის გაფორმებას ეშურებიან.

დავით ჭიჭველიშვილი პირველ ეტაპზე სტაბილურობით გამოირჩეოდა და „სიონის" წარმატებაში თავისი წილიც დაიდო. მას კლუბთან სეზონის ბოლომდე აკავშირებდა კონტრაქტი, თუმც უკრაინელები ჭიჭველიშვილის აყვანის შემთხვევაში ბოლნისელებს კაპიკსაც არ გადაუხდიან, რაკიღა ფეხბურთელს „სიონთან" ინდივიდუალური კონტრაქტი აკავშირებდა, რომლის ერთ-ერთი მუხლის თანახმადაც უცხოური ვარიანტის გამოჩენის შემთხვევაში ფეხბურთელს სიონელები არ შეზღუდავდნენ. ჭიჭველიშვილმაც კონტრაქტის ეს პუნქტი გამოიყენა და, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია „ვოლინში" მისი ჩარიცხვა.

„ვოლინი" უკრაინის წინა ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გავიდა, თუმც ამ სეზონში სუსტად თამაშობს. ვოლინელები პირველი ეტაპის შემდეგ მე-14 ადგილზე არიან და მხოლოდ „ტავრიას" და „ზირკას" უსწრებენ.

**პაატა ქვანტალიანი**

# კალაძე და სამარა: კისლოვოდსკი, პო თუ არა

**სამარის** „კრილია სოვეტოვმა" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი ანზორ კალაძე კისლოვოდსკში საწვრთნელ შეკრებაზე წაიყვანა. სამარელები კალაძეს ვარჯიშებზე დააკვირდებიან და მერე გადაწყვეტენ, გაუფორმონ თუ არა კონტრაქტი.

შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში კალაძე ელისტის „ურალანში" ირიცხებოდა. მართალია, მას ძირითად გუნდში არ უთამაშია, მაგრამ ფარმკლუბში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა. ელისტელები კალაძის გაშვებას არც აპირებდნენ, მაგრამ გუნდის პრემიერლიგიდან გავარდნამ ქართველ მცველს გული აუცრუა.



**ქახა შალამბერიძე**

# კითხვარი ფერდინანდის ამბავზე

*ინგლისის და ევროპის საფეხბურთო საზოგადოება ამ შემოდგომაზე ძლიერააღელვა რიო ფერდინანდის დოპინგ-ისტორიამ თუ დოპინგ-გაუგებრობამ, იქნებ დოპინგ-მზაკვრობამაც. ვფიქრობთ, ფეხბურთის მოყვარულთათვის საქმის არსი ცნობილია. ამიტომ მხოლოდ მოკლედ გავიმეორებთ: 23 სექტემბერს „მანჩესტერ იუნაიტედის" ოფისში მივიდნენ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დოპინგ-ლაბორანტები, რომელთაც ფერდინანდის სინჯი ითხოვეს. ფერდინანდს მათი ოფისში ყოფნა (როგორც თავად ამბობს) დაავიწყდა და ვარჯიშის შემდეგ ქალაქისკენ გაუტია, სადაც ცენტრალურ უბანში საყიდლებზე შეიარა. იქ მას ლაბორანტები გაახსენდა და ოფისში დარეკა, დავბრუნდებიო, რაზეც უპასუხეს, რომ გვიანი იყო. როგორც გაირკვა, ლაბორანტებმა კლუბის ოფისი ამ საუბრიდან ოცდახუთი წუთის შემდეგ დატოვეს, ამ დროში კი ფეხბურთელი დაბრუნებას მოასწრებდა. ყოველივე ამასთან და კიდევ სხვა საკითხებთან დაკავშირებით **BBC**-ს მიმომხილველებს გაუჩნდათ კითხვები, რომელთა ჩამოთვლა, ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს*



**1. რატომ გაუშვა სინჯის ჩაუბარებლად თავად „მანჩესტერ იუნაიტედმა" ოფისიდან კაცი, რომელშიც 30 მილიონი გირვანქა აქვს გადახდილი?**

სპორტის სხვა სახეობებში დოპინგ-ლაბორანტები შესამოწმებელ ადამიანს უშუალოდ უკავშირდებიან, ფეხბურთში კი ამას კლუბის ექიმები და ფიზიოთერაპევტები, ერთი სიტყვით, შუამავლები დასჭირდა. ფერდინანდი და კიდევ სამი მოთამაშე ხომ კლუბის ექიმმა გააფრთხილა ანალიზზე მოდითო.

**2. ანალიზის გაცდენის შემდეგ რატომ დასჭირდა ახალი სინჯის ჩაბარებას კიდევ ორი დღე?**

გაზეთებში ეწერა, „იუნაიტედის" თანამშრომელთა ვერსიით, დოპინგ-ლაბორანტები 25 სექტემბრამდე კლუბის ოფისში თავად ვერ დაბრუნდებოდნენო. ვითომ მართალია?

**3. ფეხბურთის ასოციაცია ათი დღის მანძილზე რას ელოდა?**

რიო ფერდინანდმა ტესტი 23 სექტემბერს გააცდინა, შეტყობით კი მხოლოდ 3 ოქტომბერს შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ საქმე იყო წამოწყებული. განზრახ გაჭიმეს დრო, ფერდინანდი ნაკრების შეკრებიდან რომ მოეხსნათ?

**4. რომ შეიტყო, ჩემს წინააღმდეგ საქმე ააგორესო, ფერდინანდმა ფეხბურთის ასოციაციის შეფებთან შეხვედრაზე უარი თქვა. რატომ?**

შეკრებიდან მოხსნის შემდეგ ფეხბურთის ასოციაციას განზრახული ჰქონდა ფერდინანდთან გასაუბრება და არ იყო გამორიცხული, ამ გასაუბრების შედეგად ოფიციალური ბრალდება აღარც წაეყენებინათ. ამის შესახებ ასოციაციამ 4 ოქტომბერს კლუბსაც აცნობა, მაგრამ არც კლუბმა შეიბერტყა ყური და არც ფეხბურთელმა.

**5. ფერდინანდს 11 ოქტომბერს თურქეთთან რომ ეთამაშა, შეეძლებოდა თურქეთის მხარეს მატჩის შედეგის გასაჩივრება?**

ფეხბურთის ასოციაციამ, ალბათ, სწორედ ამიტომ გამოითხოვა ფეხბურთელი ნაკრების ბანაკიდან: ნაკრების სხვა წევრებმა კი ამ მხარეს ყურადღება არ მიაქციეს და პროტესტი გამოთქვეს.

**6. კერძოდ რა კანონი აქვს ფეხბურთის ასოციაციას დოპინგ-ტესტირების შემთხვევაში?**

ფეხბურთის ასოციაციის წესებში არაფერი წერია იმ შემთხვევაზე, როდესაც სპორტსმენი ტესტირებაზე მისვლის მაგივრად მანქანაში ჯდება და სხვაგან მიდის. ტექნიკურად ეს შემოწმებაზე უარის თქმად მოიაზრება და მაქსიმუმ ორი წლით ისჯება.

თუმცა, „მანჩესტერ სიტის" ერთ ფეხბურთელს ჰქონდა მსგავსი შემთხვევა, როდესაც მან ტესტირება გააცდინა. მოგვიანებით კი განმარტა, დედაჩემი აეროპორტიდან წამოსაყვანი მყავდაო. იგი მხოლოდ 2 ათასი გირვანქით დააჯარიმეს.

**7. რატომ გაახმაურა „მანჩესტერ იუნაიტედმა" ფერდინანდის ვინაობა?**

სხვათა შორის, ფერდინანდის თანაგუნდელთა აღშფოთების და „ლამის გაფიცვის" ერთ-ერთი მიზეზი სწორედ კონფიდენციალურობის დარღვევა გახლდათ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედის" ნამოქმედარია. წინა სეზონში „რაშდენ ენდ დაიმონდსის" მეკარეს, ბილი ტარლის ნანდროლონი აღმოუჩინეს, მაგრამ მხოლოდ საყვედური უთხრეს და არც ვინაობა გაუმჟღავნეს.

**პაპუნა ქედია**



# მე ვამბობ, რიო!

**„მანჩესტერ იუნაიტედის"** მცველი რიო ფერდინანდი კვირას „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" ითამაშებს — ეს ამბავი თავად „იუნაიტედის" მწვრთნელისგან, ალექს ფერგიუსონისგან მოდის. ფერგიუსონი წუხელ ბოლტონში, ფერდინანდის საქმის გარჩევაზე სიტყვითაც გამოვიდა.

„მე მას განაცხადში ჩავწერ. რასაკვირველია, მატჩისთვის იდეალურად ვერ იქნება მომზადებული, მაგრამ იმედი მაქვს, რომ საკმაოდ გაწონასწორებული კაცია და რაც ხდება, ვერ დათრგუნავს. შაბათს იგი ჩვეულებრივად ივარჯიშებს და მიუხედავად იმისა, რომ არც ხუთშაბათს უვარჯიშია და არც პარასკევს, ვფიქრობ, მატჩისთვის მაინც ყოჩაღად იქნება" — თქვა ფერგიუსონმა, რომლისთვისაც კარგად არის ცნობილი, რომ ფერდინანდის საქმის ნებისმიერი დასასრულის შემთხვევაში წინ საჩივრის შესატანად მოცემული ორი კვირაა ანუ ფეხბურთელს თამაშში ხელს ვერავინ შეუშლის.

ამასობაში კი უესლი ბრაუნი შემადგენლობაში დაბრუნებასთან არის ახლოს. მართალია, იგი ლონდონში „ტოტენჰემთან" სათამაშოდ არ მიდის, მაგრამ სარეზერვოებში გააგორებს ბურთს და მომდევნო ტურში გადაინაცვლებს ძირითადში. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრების ამ 24 წლის წევრმა ერთი ხნის წინ მუხლის მეორე ოპერაცია გაიკეთა.

„არ მინახავს სხვა ისეთი ადამიანი, რომლის გამოჯანმრთელებას ამდენი ხალხი შენატროდეს, ეს კი იმიტომ ხდება, რომ მის მიმართ ყველა დიდი სიმპათიითაა განწყობილი. იმედი მაქვს, რომ მისი მოედანზე დაბრუნება უპრობლემო იქნება და მწამს, რომ თუ ასე მოხდება, იგი ბრწყინვალე ფეხბურთს ითამაშებს" — დასძინა ფერგიუსონმა.

**პაპუნა ქედია**

# ფანჯარაში ლიდსია ნეტავ, სმიტი ვისია?

**„ლიდსის"** გაჭირვებაზე არაერთხელ თქმულა. იორკშირული კლუბის ფეხბურთელების საყიდლად ბევრი ბობოლა კლუბია ჩასაფრებული. ისინი მხოლოდ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნას ელიან, რათა ჯიბეგახვრეტილ ლიდსელებს კარგი მოთამაშეები სწრაფად და იაფად დასცინცლონ.

იანვარში, სავარაუდოდ, ალან სმიტის და მარკ ვიდუკას ჯერი დადგება. მიუხედავად იმისა, რომ „ლიდსს" თითქოს თავისი „აბრამოვიჩი" გამოუჩნდა, ზოგ ფეხბურთელს გუნდში გაჩერება მაინც აღარ სურს.

ალან სმიტს არსენ ვენგერი ეკურკურება, მარკ ვიდუკას გადაბირება კი მილანის „ინტერს" სწადია. მილანელებმა ავსტრალიელი ფორვარდის შეძენა ჯერ კიდევ ზაფხულში მოინდომეს, ახლა კი იჯარით წაყვანას ლამობენ. ეს ცნობა „დეილი მირორმა" გაავრცელა, „დეილი სტარი" კი ირწმუნება, ვიდუკა „მანჩესტერ იუნაიტედის" ლუკმა გახდებაო.



მარკ ვიდუკა და ალან სმიტი „ლიდსიდან" ალბათ აიბარგებიან

თავად „ლიდსის" დროებით მწვრთნელ ედი გრეისაც მიაჩნია, რომ ფეხბურთელები გუნდიდან წავლენ: „წინასწარ ვერასოდეს განჭვრეტ, რა მოხდება და ვინ გაგისხლტება ხელიდან. ძალიან მსურს ვიდუკას დარჩენა, მაგრამ ვიცი, იგი სწორედ ის მოთამაშეა, რომელზეც ბობოლები ნადირობენ".

**ვაჟა ხუციშვილი**


## სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ,
გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით
ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები... სპორტული ატრიბუტიკა:
დროშები, ვიმპელები... საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49

# პრანჭვას მოუკვდა პატრონი!



*ლეგენდარული ჰოლანდიელი თავდამსხმელი, ევროპის სამგზის საუკეთესო ფეხბურთელი მარკო ვან ბასტენი ამბობს, რომ მისმა თანამემამულე მოთამაშეებმა კინოვარსკვლავებივით ქცევას თავი უნდა დაანებონ და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე კარგად გამოსვლას*

ეს სიტყვები მოტანილია ჰოლანდიური ჟურნალის „ფუტბოლ ინტერნეშენალისთვის" მიცემული ინტერვიუდან. ხსენებულ ინტერვიუში „აიაქსისა" და „მილანის" ყოფილი დიდი ვარსკვლავი თანამედროვეთა საქმისადმი დამოკიდებულებას აკრიტიკებს. შეგახსენებთ, რომ ვან ბასტენმა ფეხბურთის თამაშს თავი ახალგაზრდამ, 28 წლისამ, კოჭის ტკივილების გამო დაანება.

„ბევრი რამ გუნდში შექმნილ ატმოსფეროზე იქნება დამოკიდებული. ჰოლანდიაში წესრიგი და დისციპლინა ხშირად პრობლემაა. საჭიროა, ფეხბურთელები პორტუგალიაში ჩავიდნენ როგორც სპორტსმენები და არა როგორც სუპერვარსკვლავები — ამბობს ვან ბასტენი და დასძენს — ზოგი მოთამაშე კინომსახიობივით იქცევა, ეს კი ამთავითვე, ძალიან პირდაპირ უნდა აილაგმოს. არავის უნდა დაავიწყდეს, რომ თავისი ქვეყნის ღირსების დასაცავად მიდის. ეჭვი არავის უნდა შეეპაროს, რომ ფეხბურთელები მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობენ და მეტი არაფერზე".

მარკო ვან ბასტენი (1992 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი) 1988 წლის ევროპის ჩემპიონი გახლავთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ძალიან ეეჭვება, რომ ჰოლანდიელთა დღევანდელი თაობა მაშინდელის გამეორებას შეძლებს. გავიხსენოთ, რომ ჰოლანდიის ახლანდელი ნაკრები 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საერთოდ ვერ მოხვდა, ხოლო ევრო 2004-ზე გასასვლელად პლეი ოფში გასვლა დასჭირდა, სადაც შოტლანდიას ორი თამაშის ჯამში 6:1 აჯობა.

ჰოლანდიელთა დღევანდელ მწვრთნელს, დიკ ადვოკაატს თავდასხმაში დიდი არჩევანი აქვს. მის განკარგულებაშია რუუდ ვან ნისტელროოი, პატრიკ კლუივერტი, როი მაკაი, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და პიერ ვან ჰოიდონკი.

„ჩვენ რამდენიმე კარგი თავდამსხმელი გვყავს. ნახევარდაცვაშიც არიან შესაფერისი ფეხბურთელები, მაგრამ დაცვაში ჩვენი გუნდი ცუდად თამაშობს" — ამბობს ვან ბასტენი, რომელიც ბოლოხანს „აიაქსის" ბავშვთა სკოლაში მუშაობს, მანამდე კი, მოგეხსენებათ, საერთოდ სპორტს გარეთ ცხოვრობდა.

„ერთადერთი კარგი მცველი იაპ სტამია, დანარჩენები კი დაცვის თუ შეტევის მოთხოვნებს რის ვაივაგლახით აკმაყოფილებენ" — დასძენს მასწავლებელი, რომელსაც „აიაქსის" ახალგაზრდა მცველები, ჯონ ჰეიტინგა და ნაიჯელ დე იონგი მოსწონს.

„მაგრამ ჯონმაც და ნაიჯელმაც უახლოეს თვეებში უნდა დაამტკიცონ, რომ წინ დიდი ნაბიჯი გადადგეს" — ასეთია ვან ბასტენის დასკვნა.

**პაპუნა ძიძია**

# ვლადიკავკაზში ლომის ნაცვლად სკანდალს ელიან

„სპარტაკ-ალანიას" მთავარ მწვრთნელად ორიოდ კვირის წინ გერმანელი ვინფრიდ შეფერის დანიშვნას აპირებდნენ. როგორც ჩანს, „თეთრი ლომის" ვარიანტი გამოირიცხა და ოსები ამჯერად სხვა კანდიდატს განიხილავენ.

ვლადიკავკაზელები ფრანგ როლან კურბისს დაუკავშირდნენ, რომლის ჩასვლასაც დღე-დღეზე ელიან. ჯერჯერობით უცნობია, კურბისი კლუბში არსებული ვითარების გასაცნობად ესტუმრება ოსეთს, თუ კონტრაქტის გასაფორმებლად.

როლან კურბისი ფეხბურთელობისას „აიაჩოში", „ოლიმპიაკოსში", „სოშოში", „მონაკოსა" და „ტულონში" თამაშობდა, საიდანაც სამწვრთნელო კარიერა დაიწყო. მწვრთნელად სამოყვარულო „ენდუმში", „ტულუზში", „ბორდოში", „მარსელში", „ლანსსა" და „აიაჩოში" უმუშავია.

2003 წლის 18 ივნისს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ მას ქვეყანაში მწვრთნელობა ექვსი თვით აუკრძალა, რადგან მსაჯებს დაემუქრა „ბორდოსთან" 1:6 მარცხის შემდეგ. გარდა ამისა, იგი თაღლითობაში იყო ეჭვმიტანილი. საფრანგეთიდან ლტოლვილი კურბისი საამიროებში „ალ ვაჰდას" წვრთნიდა.

**გაგა ხუციშვილი**

*ფეხბურთელებს ბურთის გაგორების გარდა, ლაპარაკიც ეხერხებათ. ზოგს ჭკვიანური უთქვამს, ზოგსაც სულელური, მერე კი ეს გამონათქვამები უეფას შეუგროვებია და, აგერ ჩვენც, წლის ყველაზე საინტერესო ციტატებისგან აკინძულ მძივს გთავაზობთ*

# უეფას სიტყვის ნაღები




„**პერძი** რომ მომაწოდეს, შემწვარი წიწილა მეგონა და ტუჩები გავილოკე. წიწილა კი არა, ღამურა გამოდგა" — პოლ გესქოინმა ჩინეთში გატარებული დღეები გაიხსენა.

„**ათასჯერ,** მილიონჯერაც რომ გავიმეორო იგივე, ალბათ მიზანში ვერ მოვარტყამ, მაგრამ თუ წარბში ზუსტი სროლა გამომივა, ფეხბურთის თამაშს დავიწყებ" — თქმული სერ ალექს ფერგიუსონის მიერ ბუცით დევიდ ბექჰემის წარბის გახეთქვის შემდეგ.

„**მოუთმენლად** ველი, როდის გავალ მოედანზე ჩემი ნამდვილი სახელით" — „ინტერის" ბრაზილიელი ნახევარმცველი ლუსიანო, რომელიც „კიევოში" ერიბერტოს გვარით თამაშობდა და თაღლითობაში ამხილეს.

„**ლაპორტამ** ამომრჩევლები კანფეტებით მოატყუა და მათაც დაიჯერეს. არჩევნები რომ დამთავრდა, კატალონიელები ტკბილეულის გარეშე დარჩნენ" — „ბარსელონას" პრეზიდენტობის დამარცხებული კანდიდატი ლუის ბასატი.

„**ეს ამბავი** შიმპანზეების ჟივილ-ხივილს მაგონებს" — „ბაიერნის" გენერალური მენეჯერი ული ჰიონესი მადრიდის „რეალში" დევიდ ბექჰემის გადასვლის თაობაზე.

„**პროფესიული** ფეხბურთი ბლეფია. მილიონებს გვიხდიან, მაგრამ ჩვენ პაიკები ვართ. საკუთარ თავს ვყიდით, რათა ზემდგომმა სისტემამ მუდამ იმუშავოს. მე მხოლოდ ფეხბურთელი ალმეიდა კი არა, მამა და ფერმერი ვარ. ყოველდღიურად ჩემს ნაწილს ვკარგავ, რადგან მას მოედანზე ვტოვებ" — მატიას ალმეიდა.

„**ვიცი,** რომ რუსეთში ბევრი მოძულე მყავს, თუმც იქ ამჟამად მრავალი მდიდარი ახალგაზრდა კაცია. ცხოვრება ხანმოკლეა — ფულის კეთების გარდა ხარჯვაც უნდა შეგეძლოს. მე „ჩელსის" ყიდვით ოცნება ავისრულე. ზოგს ჩემს გულწრფელობაში ეჭვი ეპარება, ზოგს კი ჩვეულებრივი გიჟი ვგონივარ" —რომან აბრამოვიჩი.



„**უეცრად** გამოჩნდა კაცი, რომელსაც მიზეზთა გამო მოზღვავებული ფულის დაბანდება სწადია. იგი საფეხბურთო კლუბს ყიდულობს და ჩემპიონთა ლიგის მოგების რეალური პრეტენდენტი ხდება. არა მგონია, რომ ფეხბურთში საქმე ასე უნდა კეთდებოდეს, მაგრამ ამჯერად სწორედ ასეა" — უეფას გენმდივანი გერჰარდ აიგნერი აბრამოვიჩის მიერ „ჩელსის" ყიდვაზე.

„**ეს მარცხი** სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი ჩვენზე ძლიერები არიან. ჟურნალისტები მოედანზე ფეხბურთს არ უყურებენ და მატჩის შემდეგ ტაბლოს მისჩერებიან" — „ალკმაარის" მწვრთნელი კო ადრიანსე „როდასთან" 1:5 მარცხის შემდეგ.

„**შვედებმა** უარი მითხრეს, მაგრამ არა უშავს, დანიელ გოგოს ავიყვანთ. ქალები კაცებზე უფრო ჭკვიანები არიან. ისინი პუნქტუალურობითაც გამოირჩევიან. მე მინახვს ფეხბურთელი ქალები, რომლებიც ბიჭებზე უკეთ თამაშობენ" — „პერუჯას" პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი.

„**ჩვენ** უცხოელ მსაჯებსაც შევედავებით. კამათის სურვილი იტალიელებს სისხლში აქვთ. საამისოდ ყოველთვის მზად ვართ, რადგან გვგონია, რომ სხვები დაჩაგვრას გვიპირებენ" — ჯოვანი ტრაპატონი სერია A-ს მატჩების სამსაჯოდ უცხოელი არბიტრების მიწვევის თაობაზე.



„**მისთვის** ლაქლაქი პროფესიად იქცა. ამიტომ მცირე საიდუმლოს გაგიმხელთ. კარიერის მანძილზე ნაკრების თავკაცობა ორჯერ შესთავაზეს და ორჯერვე უარი თქვა, მე კი ორჯერვე დავთანხმდი. კიდევ გაქვთ კითხვები?" — დიკ ადვოკაატი იოჰან კრუიფზე.



„**მილანი**" ჩვენზე ძლიერი ნამდვილად არაა. მათ მხოლოდ დღეს გვაჯობეს. „იუვენტუსმა" ეს-ესაა, „სკუდეტო" მოიგო და ბოლო ორი სეზონის ჯამში „მილანზე" 27 ქულით მეტი მოვაგროვეთ" — გულნატკენი მარჩელო ლიპის ნათქვამი ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხების შემდეგ.

„**ჩემი შვილი** ხორცის ნაჭერი არაა! მისი დახლზე გატანა არ შეიძლება! აზრზე მოდით, ხალხო, იგი ხომ მხოლოდ 17 წლისაა!" — „ანდერლეხტის" მცველ ვენსან კომპანის მამის ნათქვამი საკუთარ შვილზე, პიერ კომპანიზე.

„**მას** სახელიც კი სწორად ჰქვია. საუცხოო სახელია. შეუძლია, მთავარი როლი შეასრულოს ფილმში, რომელშიც მთავარი გმირი ელვის პრესლია. იგი ჯონ უეინისა და მიკი რუნის ნაზავია. პირველი ცხენით დაჯირითობდა და მეგობრებს ეხმარებოდა, მეორე კი მღეროდა და ილხენდა. სწორედ ასე ვუხასიათებ მას ამერიკელებს" — „ევერტონის" მფლობელის აზრი უეინ რუნიზე.

„**პაოლოსა** და ჩემს შორის სხვაობა ისაა, რომ მე მუდამ ოფლის ღვრა მიწევდა თავის გამოსაჩენად, ის კი ნიჭით გაჯეჯილი დაიბადა" — ალესანდრო კოსტაკურტა პაოლო მალდინის შესახებ.



## ესპანეთი

### თასის 1/16 ფინალი

**ლეგანესი 3:4დ.დ.(3:3) რეალი**

**0:1 ბექემი (13), 0:2 რაული (36), 1:2, 2:2 ბორხა (39, 45), 3:2 პავონი (49ს.კ.), 3:3 სოლარი (87), 3:4 რაული (109)**

**რეალი: სესარი, მინამბრესი (სალგადო 46), რუბენი (პავონი 25), რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ბექემი, კამბიასო, ნუნიესი (რონალდო 67), სოლარი, რაული, პორტილიო**

**მწვრთნელი: კარლუშ კეიროში**

**მსაჯი: გონსალეს ვასკესი**

**8 000 მაყურებელი**

# ბედის ბრუნვა: რეალი რაულმა...



ესტებან კამბიასოს (შუაში) და მის თანაგუნდელებს უსახელო „ლეგანესის“ ძლევა გაუჭირდათ

**ესპანური** COPA DEL REY საფეხბურთო მსოფლიოს განცვიფრებას განაგრძობს. მართალია, ამ გათამაშებაში ქვეყნის უძლიერესი კლუბებიც მონაწილეობენ და ვიწროპირინეული მასშტაბის უნუგეშო „სეგუნდოსნებიც“, მაგრამ „სამეფო თასმა“ ეშმარიტად არ უწყის, თუ რას ნიშნავს სიტყვები — „ფავორიტის შიში“. 18 დეკემბერს „ესტადიო მუნისიპალზე“ „ლეგანესმა“ ოდენ 8 ათასი გიჟმაჟი ფანის თვალწინ მადრიდის „რეალს“ ჯოჯოხეთური ბრძოლა გაუმართა და სამეფო გუნდი კინაღამ მერვედფინალის მიღმა დატოვა.

„მუნისიპალზე“ შეხვედრას გულსახეთქი და სკანდალური თავიდან არაფერი ეტყობოდა. მოგეხსენებათ, „ლეგანესის“ საფეხბურთო ავტორიტეტს (რა თქმა უნდა, ამ მატჩამდე) მადრიდელები სათვალავში არ ჩააგდებდნენ და პირველი ნახევარი საათი მოედანზე „რეალი“ გაბატონდა. ანგარიში მე-13 წუთზე გაიხსნა — დევიდ ბექემმა ჩვეულებისამებრ ჩინებულად შეასრულა საჯარიმო. გოლისშემდგომი სიტუაციაც კასტილიური გახლდათ — სტუმართა არხეინ თამაშს მასპინძლები მოკრძალებული იერიშებით პასუხობდნენ. 36-ეზე რაულს გატანის შესანიშნავი შანსი მიეცა და — 0:2. მერე კი...

ბორხა, კალანდრია, მარინი, როდრიგესი — ვეჭვობთ, ფეხბურთის თუნდაც თავგადაკლულ გულშემატკივარს ზემოთ ჩამოთვლილი სახელები რაიმეს ეუბნებოდეს („ლეგანესის“ ინჩადა არ იგულისხმება). არადა, სწორედ ამ უცნობმა ბიჭებმა დააწიოკეს „გალაქტიკურ გუნდად“ შერაცხული კასტილიური გრანდი. 0:2-იდან სულ მცირე ხანში ბორხამ მომხდურთა მცველების შეცდომით ისარგებლა და კალანდრიას პასით იხეირა — 1:2. გადის 6 წუთი და „მუნისიპალის რაინდი“ (იქაურმა პრესამ შეარქვა ასე) მეორედ აიძულებს სესარს, ბურთი კარიდან გამოიტანოს — 2:2 ბორხას „სასარგებლოდ“. პირველი ტაიმიც ასე დასრულდა. შეხვედრის მეორე ნახევარში კი „რეალმა“ მტერი და მოყვარე სრულ შოკში ჩააგდო — დაბნეულმა ფრანსისკო პავონმა სესარ სანჩესი ავტოგოლით დაასაჩუქრა — 3:2! დედაქალაქის მთავარ საამაყო კლუბში („ლეგანესიც“ მადრიდულია) პანიკამ დაისადგურა, რამაც შეცბუნებულ კეიროშს მინდორზე რონალდოს სასწრაფოდ შეყვანა აკისრებინა. მიუხედავად ამისა, ფრთაშესხმული „სეგუნდოსნის“ განაღმვა ვარსკვლავებმა მატჩის ბოლო წუთებამდე ვერ მოახერხეს — სოლარიმ 87-ეზე ძლივს შეძლო გათანაბრება (ნათელია, ფორტუნას არაფრით სურდა, „რეალი“ „მუნისიპალიდან“ სირცხვილნაჭამი წასულიყო). დამატებით დროში კი რაულმა საბოლოოდ დაამწუხრა ადგილობრივები — რობერტო კარლოსის კარგი გადაცემის შემდეგ ქუსლურით შეაგდო — 3:4. „არავინ ელოდა „ლეგანესისგან“ ასეთ თამაშს. ეპიკური მატჩი იყო“ — აღიარა კარლუშ კეიროშმა. ხოლო ესპანურმა „მარკამ“ ყოველივე მომხდარი ასე შეაფასა: „ბედმა და რაულმა „რეალი“ სეგუნდას უფსკრულში ჩაჩეხვას გადაარჩინეს“.

**ლადო ხომერიკი**

**მერვედფინალის წილისყრა**

**ალავესი — ვალიადოლიდი; ატლეტიკო — დეპორტივო; ეიბარი — რეალი; ლევანტე — ბარსელონა; მალაგა — სელტა; სარაგოსა — ბეტისი; ვალენსია — ოსასუნა; ვილიარეალი — სევილია**

***პირველი მატჩები გაიმართება 2004 წლის 5 იანვარს, საპასუხოები — 12 იანვარს***



## იოჰან კრუიფი

# რატომ მარტო რონალდინიო?

**დიდი** იოჰან კრუიფი კვლავინდებურად კატალონიური „ბარსელონას“ მთავარ შემფასებლად რჩება. გუშინ ჰოლანდიურმა ლეგენდამ იქაური „სპორტის“ ჟურნალისტებთან შეხვედრისას პრიმერას გრანდის ბოლოჟამინდელ პრობლემებზე ისაუბრა. „რაიკარდის კლუბი არამც და არამც არ უნდა იყოს მარტო რონალდინიოზე დამოკიდებული. „ბარსა“ რაიმე ფასეულის მიღწევას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ გუნდის დანარჩენი მოთამაშეებიც შესაბამისად ამოქმედდებიან. ოდენ მე-10 ნომრის ჩაუქი თამაში ტიტულებს ვერ მოგვიტანს“ — კატეგორიულად განაცხადა ყველა დროის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ბარსელონელმა. კრუიფი, როგორც ყოველთვის, ლამაზი და თვალწარმტაცი ფეხბურთის ერთგული მიმდევარია, მაგრამ EL GRANDE MAESTRO-ს არც კოლექტიური ბურთაობის უპირატესობანი ავიწყდება: „დღევანდელ გუნდში ბევრია ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელი. თითოეულ მათგანს დახვეწილი ტექნიკა აქვს, თუმცა აუცილებლობა მოითხოვს, ვაღიარო, რომ „ბარსელონას“ ჯერ კიდევ უჭირს გუნდური თამაში“.



იოჰანი საკუთარი თანამემამულის, ფრანკ რაიკარდის სამწვრთნელო პოლიტიკასაც შეეხო. „ფრანკს ბევრს აკრიტიკებენ, მე კი მგონია, რომ მრავალი ამ საჩივართაგანი სავსებით უმართებულოა. ვალდესის რუშთუთი ჩანაცვლებასაც უცნაური აჟიოტაჟი მოჰყვა, რისი არსიც, მართალი გითხრათ, არ მესმის. „ბარსას“ კარი ბოლო შეხვედრაში ერთობ „დასაჩუქრდა“ გოლებით, ამიტომაც მწვრთნელმა მეკარის შეცვლა გადაწყვიტა. რუშთუ გამოცდილი გოლკიპერია, ვიქტორ ვალდესი კი მეტისმეტად ახალგაზრდაა. მხოლოდ ორი სეზონია, რაც პრიმერადივიზიონში გამოდის. ასეთი დონის ჩემპიონატი ჭაბუკ მოთამაშეებს ხშირად ღლის ხოლმე“ — აღიარებს კრუიფი. სპორტელთა შეკითხვაზე კატალონიური „დრიმ თიმის“ ყოფილი ვარსკვლავების კლუბის ადმინისტრაციაში მოსვლაზე რას ფიქრობთო, ამავე „ოცნების გუნდის“ სულისჩამდგმელმა უყოყმანოდ უპასუხა: „ამ მოვლენას დადებითად ვაფასებ. მე მათ ვენდობი და მჯერა, რომ ყოფილი ვარსკვლავები კატალონიურ გრანდს თავიანთი ამჟამინდელი საქმიანობითაც კარგად დაეხმარებიან“.

**ლადო ხომერიკი**

*პატრიკ კლუივერტმა „ესპანიოლ — ბარსელონას“ ამასწინანდელ დერბიში ორი ბურთი შეაგდო და კატალონიური გრანდის ქომაგთა მისადმი შერყეული ნდობა აღიდგინა. ჰოლანდიელი მობურთალის მთავარი მიზანი, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელობაა. „ბარსას“ 9-იანს „ელმუნდო დეპორტივოს“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ*



# მოიყვანეთ სხვა!

## კლუივერტმა და ჟურნალისტებმა ერთმანეთს თავი შეაბეზრეს

**— როგორც კი თქვენ გოლების გატანას დაუბრუნდით, „ბარსასაც“ უმალ გამოსწორება დაეტყო...**

— გუნდის კარგი თამაშისა და გამარჯვების ხილვა, რა თქმა უნდა, ყოველთვის სასიხარულო ამბავია, მით უმეტეს, თუ ამას ყველაფერს შენი გატანილი გოლებიც თან ერთვის. უბრალოდ, სხვანაირად არ შეიძლება, რახან ფეხბურთელი გქვია, კლუბის სასიკეთოდ ასი პროცენტით უნდა დაიხარჯო.

**— კატალონიური გრანდი უეფასა და სამეფო თასებზე კარგად გამოდის, რაც შეეხება პრიმერას...**

— მართალია, ქვეყნის ჩემპიონატში მეტისმეტად ბევრი ქულა დავკარგეთ. თუმც ეს უკვე ისტორიაა, რასაც „ბარსა“ სულ სხვა, ალმავალ ეტაპს დაუპირისპირებს.

**— ინჩასთა და სპეციალისტთა აზრით, პრიმერადივიზიონის მეოთხე ადგილი ამჟამინდელი „ბარსასთვის“ ჯილდო იქნება. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ძალიან კმაყოფილი ვიქნები, ჩემპიონთა ლიგას თუ დავუბრუნდებით. წინა წლებთან შედარებით უკეთესი გუნდი გვყავს და ამას ნამდვილად ვიმსახურებთ.

**— მიუხედავად იმისა, რომ კლუივერტსა და მის მეგობრებს დროდადრო კრიტიკის მძაფრი ქარიშხალიც აწუხებთ...**

— გული მტკივა, როცა ჩვენი მისამართით წამოსროლილ უსამართლო სიტყვებს ვუსმენ. ამბობენ, თითქოს ახლანდელ „ბარსელონას“ მნიშვნელოვანი თამაშების მოგება არ ძალუძს. მტკნარი სიცრუეა. უახლოეს მომავალში „კამპ ნოუს“ არმადის ეფექტურობაში მთელი ევროპა დარწმუნდება.

**— ერთხელ ფრანკ რაიკარდმა თქვა, პატრიკ კლუივერტმა უნდა გადაწყვიტოს, მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელად სურს ყოფნა თუ ოდენ კარგ მოთამაშედო. თქვენი მიზნების შესახებ ხომ ვერ გვეტყოდით?**

— მე მსოფლიოს საუკეთესოობა უფრო მომწონს და სწორედ ამისთვის ვიბრძვი. და როცა შესაბამისი შანსი მომეცემა, არავითარ შემთხვევაში ხელიდან არ გავუშვებ.

**— ჟურნალისტები კლუივერტის სტადიონს გარეთ ცხოვრებასაც ფართოდ მიმოიხილავენ ხოლმე...**

— ძალიან მომაბეზრა თავი მათმა მეტისმეტმა აქტიურობამ. რა იარლიყი არ მომაკერეს — ჩხუბისთავი, დალევის მოყვარული თუ ღმერთმა უწყის, რა. ჟურნალისტებისთვის მთავარი კლუივერტის მოედანზე საქმიანობა უნდა იყოს და არა მისი ოჯახური საიდუმლოებანი. უმორჩილესად ვითხოვ, ჩემს პირად ცხოვრებას ნუ ეხებიან.

**— „ბარსას“ თავკაცობა თავდასხმის ხაზის გაძლიერებას ახალი ტრანსფერით აპირებს. ამ საკითხისადმი უარყოფითად ხართ განწყობილი?**

— არა, რატომ?! არასოდეს მითქვამს, კლუბში ახალი თავდამსხმელი არ გადმოიყვანოთ-მეთქი. სისულელე იქნება, რომ გუნდის აღმავლობას ხელი რაიმე პირადი პრეტენზიით შევუშალო. შეიძინონ სხვა ცხრიანიც — ჯანსაღი კონკურენცია „ბარსელონას“ შემადგენლობაზე მხოლოდ დადებითად იმოქმედებს.

# ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

## შიდგლო რანიერიმ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა

| XVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | — | მიდლსბრო |
| ბლექბერნი | — | ასტონ ვილა |
| ბოლტონი | — | არსენალი |
| ჩარლტონი | — | ნიუკასლი |
| ევერტონი | — | ლესტერი |
| ფულემი | — | ჩელსი |
| ვულვზი | — | ლივერპული |
| **ხვალ** | | |
| საუთჰემპტონი | — | პორტსმუთი |
| ტოტენჰემი | — | მანჩესტერი |
| **ზეგ** | | |
| სიტი | — | ლიდსი |

| საპრემიერო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 16 | 11 | 5 | 0 | 30:11 | 38 |
| მანჩესტერი | 16 | 12 | 1 | 3 | 32:10 | 37 |
| ჩელსი | 16 | 11 | 3 | 2 | 30:12 | 36 |
| ფულემი | 16 | 7 | 4 | 5 | 28:22 | 25 |
| ნიუკასლი | 16 | 6 | 6 | 4 | 25:20 | 24 |
| საუთჰემპტონი | 16 | 6 | 5 | 5 | 15:12 | 23 |
| ჩარლტონი | 16 | 6 | 5 | 5 | 22:20 | 23 |
| ბირმინგემი | 16 | 6 | 5 | 5 | 14:18 | 23 |
| ლივერპული | 16 | 6 | 4 | 6 | 23:18 | 22 |
| 20.00 | 5033 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,35 | 3,6 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,48 |
| 20.00 | 5034 | მურსია-მალაგა | 2,8 | 2,0 | 3,6 | 1,16 | 1,57 | 1,28 |
| 20.00 | 5035 | ბეტისი-ვილიარეალი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 22.00 | 5036 | მაიორკა-რეალი | 4,6 | 2,15 | 2,25 | 1,46 | 1,51 | 1,09 |
| 24.00 | 5037 | ბარსელონა-სელტა | 2,05 | 2,2 | 5,3 | 1,06 | 1,47 | 1,55 |

**22 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 5038 | სეტი-ლილი | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **20 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 5510 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5511 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5512 | ბოლტონი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5513 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5514 | ევერტონი-ლესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5515 | ფულემი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5516 | ვულვერჰემპტონი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5517 | პარმა-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5518 | ემპოლი-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 5519 | სოსიედადი-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 5520 | ატლეტიკო-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 5521 | ვალენსია-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **21 დეკემბერი** | | | |
| 16.30 | 5522 | საუთჰემპტონი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.05 | 5523 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5524 | კიევო-ანკონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5525 | ლეჩე-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5526 | მილანი-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5527 | პერუჯა-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5528 | სამპდორია-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5529 | სიენა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5530 | ლაციო-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5531 | ალბასეტე-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5532 | ოსასუნა-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5533 | დეპორტივო-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5534 | მურსია-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5535 | ბეტისი-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 5536 | მალიორკა-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 5537 | ბარსელონა-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **22 დეკემბერი** | | | |
| 24.00 | 5538 | სიტი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **20 დეკემბერი** | | |
| 19.00 | 5410 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 5411 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 1,6 | 2,4 |
| 19.00 | 5412 | ბოლტონი-არსენალი | 2,6 | 1,5 |
| 19.00 | 5413 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 1,95 | 1,85 |
| 19.00 | 5414 | ევერტონი-ლესტერი | 1,55 | 2,5 |
| 19.00 | 5415 | ფულემი-ჩელსი | 2,4 | 1,6 |
| 19.00 | 5416 | ვულვერჰემპტონი-ლივერპული | 2,4 | 1,6 |
| 21.00 | 5417 | პარმა-რეჯინა | 1,25 | 3,6 |
| 23.30 | 5418 | ემპოლი-რომა | 3,2 | 1,35 |
| 20.30 | 5419 | სოსიედადი-ვალიადოლიდი | 1,7 | 2,2 |
| 22.30 | 5420 | ატლეტიკო-რასინგი | 1,5 | 2,6 |
| 00.30 | 5421 | ვალენსია-სევილია | 1,35 | 3,2 |
| | | **21 დეკემბერი** | | |
| 16.30 | 5422 | საუთჰემპტონი-პორტსმუთი | 1,55 | 2,5 |
| 20.05 | 5423 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 2,6 | 1,5 |
| 18.00 | 5424 | კიევო-ანკონა | 1,3 | 3,4 |
| 18.00 | 5425 | ლეჩე-იუვენტუსი | 3,2 | 1,35 |
| 18.00 | 5426 | მილანი-უდინეზე | 1,25 | 3,6 |
| 18.00 | 5427 | პერუჯა-ბრეშა | 1,75 | 2,1 |
| 18.00 | 5428 | სამპდორია-მოდენა | 1,55 | 2,5 |
| 18.00 | 5429 | სიენა-ბოლონია | 1,6 | 2,4 |
| 23.30 | 5430 | ლაციო-ინტერი | 1,9 | 1,9 |
| 20.00 | 5431 | ალბასეტე-ბილბაო | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 5432 | ოსასუნა-სარაგოსა | 1,5 | 2,6 |
| 20.00 | 5433 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,1 | 5,0 |
| 20.00 | 5434 | მურსია-მალაგა | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 5435 | ბეტისი-ვილიარეალი | 1,75 | 2,1 |
| 22.00 | 5436 | მალიორკა-რეალი | 2,4 | 1,6 |
| 24.00 | 5437 | ბარსელონა-სელტა | 1,5 | 2,6 |
| | | **22 დეკემბერი** | | |
| 24.00 | 5438 | სიტი-ლიდსი | 1,7 | 2,2 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **20 დეკემბერი** | | |
| 19.00 | 5310 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5311 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5312 | ბოლტონი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5313 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5314 | ევერტონი-ლესტერი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5315 | ფულემი-ჩელსი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 5316 | ვულვერჰემპტონი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 5317 | პარმა-რეჯინა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 5318 | ემპოლი-რომა | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 5319 | სოსიედადი-ვალიადოლიდი | 1,65 | 1,95 |
| 22.30 | 5320 | ატლეტიკო-რასინგი | 1,65 | 1,95 |
| 00.30 | 5321 | ვალენსია-სევილია | 1,7 | 1,9 |
| | | **21 დეკემბერი** | | |
| 16.30 | 5322 | საუთჰემპტონი-პორტსმუთი | 1,75 | 1,85 |
| 20.05 | 5323 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5324 | კიევო-ანკონა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5325 | ლეჩე-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 5326 | მილანი-უდინეზე | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 5327 | პერუჯა-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5328 | სამპდორია-მოდენა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5329 | სიენა-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 5330 | ლაციო-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 20.00 | 5331 | ალბასეტე-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5332 | ოსასუნა-სარაგოსა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5333 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5334 | მურსია-მალაგა | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5335 | ბეტისი-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 22.00 | 5336 | მალიორკა-რეალი | 1,7 | 1,9 |
| 24.00 | 5337 | ბარსელონა-სელტა | 1,65 | 1,95 |
| | | **22 დეკემბერი** | | |
| 24.00 | 5338 | სიტი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **20 დეკემბერი** | | |
| 19.00 | 5210 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5211 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5212 | ბოლტონი-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5213 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5214 | ევერტონი-ლესტერი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5215 | ფულემი-ჩელსი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5216 | ვულვერჰემპტონი-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 5217 | პარმა-რეჯინა | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 5218 | ემპოლი-რომა | 1,95 | 1,65 |
| 20.30 | 5219 | სოსიედადი-ვალიადოლიდი | 1,85 | 1,75 |
| 22.30 | 5220 | ატლეტიკო-რასინგი | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 5221 | ვალენსია-სევილია | 1,85 | 1,75 |
| | | **21 დეკემბერი** | | |
| 16.30 | 5222 | საუთჰემპტონი-პორტსმუთი | 1,8 | 1,8 |
| 20.05 | 5223 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 5224 | კიევო-ანკონა | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 5225 | ლეჩე-იუვენტუსი | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 5226 | მილანი-უდინეზე | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 5227 | პერუჯა-ბრეშა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 5228 | სამპდორია-მოდენა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5229 | სიენა-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 5230 | ლაციო-ინტერი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 5231 | ალბასეტე-ბილბაო | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5232 | ოსასუნა-სარაგოსა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5233 | დეპორტივო-ესპანიოლი | 2,0 | 1,6 |
| 20.00 | 5234 | მურსია-მალაგა | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 5235 | ბეტისი-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 5236 | მალიორკა-რეალი | 1,95 | 1,65 |
| 24.00 | 5237 | ბარსელონა-სელტა | 1,9 | 1,7 |
| | | **22 დეკემბერი** | | |
| 24.00 | 5238 | სიტი-ლიდსი | 1,9 | 1,7 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

20.12 19.00 5601 ინგლისი პლ (XVII) ........ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

20.12 21.00 5603 იტალია A (XIV) ........ 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9

20.12 20.30 5604 ესპანეთი Iლ (XVII) ........ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

20.12 23.00 5607 ბელგია Iლ (XVII) ........ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 19.00 | 5110 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 19.00 | 5111 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 19.00 | 5112 | ბოლტონი-არსენალი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 19.00 | 5113 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 5114 | ევერტონი-ლესტერი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 19.00 | 5115 | ფულემი-ჩელსი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 19.00 | 5116 | ვულვერჰ.-ლივერპული | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 21.00 | 5117 | პარმა-რეჯინა | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.30 | 5118 | ემპოლი-რომა | 10,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| 20.30 | 5119 | სოსიედადი-ვალიადოლ. | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 22.30 | 5120 | ატლეტიკო-რასინგი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 00.30 | 5121 | ვალენსია-სევილია | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 16.30 | 5122 | საუთჰემპტ.-პორტსმუთი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.05 | 5123 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 18.00 | 5124 | კიევო-ანკონა | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 18.00 | 5125 | ლეჩე-იუვენტუსი | 10,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| 18.00 | 5126 | მილანი-უდინეზე | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.00 | 5127 | პერუჯა-ბრეშა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 5128 | სამპდორია-მოდენა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.00 | 5129 | სიენა-ბოლონია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 23.30 | 5130 | ლაციო-ინტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.00 | 5131 | ალბასეტე-ბილბაო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.00 | 5132 | ოსასუნა-სარაგოსა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.00 | 5133 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 20.00 | 5134 | მურსია-მალაგა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.00 | 5135 | ბეტისი-ვილიარეალი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 22.00 | 5136 | მალიორკა-რეალი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 24.00 | 5137 | ბარსელონა-სელტა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 5138 | სიტი-ლიდსი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |



*ვახტანგ ნაცვლიშვილი ფრანგულ „ოლ სტარში“ სათამაშოდ მიიწვიეს, ასე რომ, ნაკრების ჯერაც მოქმედ კაპიტანთან დაკავშირების კიდევ ერთი მიზეზი გაგვაჩნდა ევრო 2007-ის ქვემესარჩევი ტურნირის კენჭისყრის შედეგების შეფასებასთან ერთად. ნაცვლიშვილის აზრი სხვებისას ემთხვევა — „საჭიროა, ლეგიონერების ჩამოსვლა და სრულფასოვანი შეკრება. თუ შეკრებაა, ყველა ღირსეული უნდა შევიკრიბოთ, ზაფხულში რაც იყო, იმას „დინამოს“ შეკრება ერქვა და მასეთ რამეში მე მონაწილეობას აღარ მივიღებ“ — აი, ასე ესმის ნაცვლიშვილს შეკრების არსი, საუბარი კი ფრანგული „ოლ სტარით“ დავიწყეთ...*

# ნაკრებიცაა და ნაკრებიც!

## ვახტანგ ნაცვლიშვილი „დინამოს“ შეკრებაზე ჩასვლას უარობს

— „ოლ სტარში“ მონაწილეობის ოფიციალური მიწვევა ჯერ არ მიმიღია, თუმც ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია, გაზეთებმაც დაწერეს და ჩემი გუნდის მენეჯერმაც მითხრა, მოემზადეო.

**—ვინ არჩევს „ოლ სტარში“ მოთამაშეებს?**

— პროცედურა ზუსტად არ ვიცი, შერჩევა მგონი, გამოკითხვის შედეგად ხდება, რომელშიც მწვრთნელები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები მონაწილეობენ. ლეგიონერთა ნაკრები ფრანგებს ვეთამაშებით. საკმაოდ მაღალი დონის მატჩი იქნება.

**— ხუთეულში იქნები?**

— არა, რა ხუთეულში, კაცი ცალი ფეხით ვთამაშობ და საერთოდ რომ მიმიწვიეს, ამაზეც მადლობელი ვარ. ჩემი საყრდენი ფეხი მარცხენაა და სწორედ ის მაწუხებს. ასეთ ვითარებაში საფრანგეთის საკმაოდ მაღალი დონის ჩემპიონატის „ოლ სტარში“ მოხვედრა ჩემთვის მიღწევაა.

**— გუშინ შენს ძველ გუნდს, პორტუგალიურ „ოლივეირენშეს“ ეთამაშეთ ფიბა-ევროპის თასზე...**

— პორტუგალიაში იოლად გავიმარჯვეთ. იქაურები ძალიან თბილად შემხვდნენ. ბევრი არ მითამაშია, მალევე დავწინაურდით და ახალგაზრდებსაც მისცეს თავის გამოჩენის შანსი. სხვათა შორის, კარგად ითამაშა ვიქტორ სანიკიძემ. მას „დიჟონში“ დიდად ემადლიერებიან. დიდ გუნდში ხომ თამაშობს და დუბლიორებშიც ლიდერია, ყოველ მატჩში 20 ქულასა და 10 მოხსნაზე ნაკლებს არ აკეთებს.

**— სანიკიძე მომავალში ალბათ უთუოდ გამოადგება ჩვენს ნაკრებს, 2007 წლამდე ხომ მაინც არ გვაქვს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი. მანამდე შედარებით სუსტ გუნდებს უნდა ვაჯობოთ, რას იტყოდი ჩვენს მეტოქეებსა და შანსებზე?**

— რა უნდა ვთქვა, მხოლოდ ერთი ვარიანტი არსებობს, ჯგუფიდან უნდა გავიდეთ. შედარებით სერიოზული მეტოქე მაკედონიაა, ფინეთს არ ვიცნობ, მაგრამ დიდი ვერაფერი გუნდი უნდა იყოს, ლუქსემბურგი კი საბურთალოს ხელაა და მასზე არც ღირს ლაპარაკი.

**— ესე იგი, პრობლემას ვერ ხედავ, იოლად დავძლევთ ამ ბარიერს?**

— პრობლემების მეტი რაა, გუნდის შეკრება და მომზადება. ისე, მე რომ მკითხო, იმ ბიჭებს, დღეს რომ საქართველოში თამაშობენ და უცხოეთში წასვლის ამბიცია აქვთ, არ უნდა დასჭირდეთ ლეგიონერების დახმარება, ისე უნდა მოახერხონ ამ გუნდების დამარცხება.

**— შენი აზრით, სრული შემადგენლობის შეკრება არაა საჭირო?**

— საჭირო როგორ არაა, საქმე ისაა, მოხერხდება თუ არა. ორ წელიწადზე მეტია, ნაკრები არ შეკრებილა, ეს კი ძალიან დიდი დროა.

**— ორი წელი რატომ, ზაფხულში ბრაიკოვიჩის შეკრებაზე ხომ შენც მიხვედი?**

— ის ნაკრების კი არა, „დინამოს“ შეკრება იყო. ბრაიკოვიჩმა ის ხალხი მიიწვია, რომლებიც თვალში მოსდიოდა და საბოლოოდ დაიტოვა კიდეც „დინამოში“. ნაკრები იმისაა, რომ მასში ყველა ძლიერი მოთამაშე იყოს, ზაფხულში კი არც ერთ სერიოზული დონის ლეგიონერს არ უვარჯიშია დიღმის ბაზაზე. ბოისა ორი დღით მოვიდა და რომ ნახა, რაც ხდებოდა, მალევე წავიდა, მე კი არც მივარჯიშია, უბრალოდ, მივედი და ბრაიკოვიჩი გავიცანი. ბრაიკოვიჩი თუ კიდევ გეგმავს ასეთ შეკრებას, ჩემი იმედი ნუ ექნება, როცა ევროპაში მოთამაშე ყველა ძლიერი ლეგიონერი ჩამოვა, მაშინ მეც მანდ ვიქნები. ვისთან ვივარჯიშო, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ბიჭებთან და ბრაიკოვიჩს ვუმტკიცო, რომ ნაკრებში თამაშის ღირსი ვარ?!

**— მაშ, რას აპირებ?**

— რა უნდა დავაპირო, მორჩება ევროპაში სეზონი და თუ მოახერხებს ფედერაციის ხელმძღვანელობა ყველა ლეგიონერის შეკრებას, ცხადია, მეც ჩამოვალ. თუ ასე მოხდა მაკედონიასა და ფინეთს უთუოდ დავჯაბნით.

**ირაკლი პერტაია**

Euroleague

# ევროლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 17-18 დეკემბერი

# საბჭოთა კავშირის აჩრდილი ევროპის მოედნებზე დაიარება

## საბონისმა მოსკოვს ქულები დააყარა

საბჭოთა კალათბურთის აჩრდილი ჯერაც არ გამქრალა, დიდი დერჟავული დერბი ევროლიგაშიც დერბობს, მოსკოვის ცსკა-სა და კაუნასის „ჟალგირისის“ ჯახმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია ბებერ კონტინენტზე.

ძველი მტრები ახალი სახეებით — მოსკოვს იმ დიდი დერბის მხოლოდ ერთი მონაწილე, რუსულ-ლიტვური ომის „გენერალი“ არვიდას საბონისი ეწვია. არმიის თვალუწვდენელი სპორტული კომპლექსი ლამისა პირთამდე გაივსო. ძველი მოსისხლის ნახვის მოსურნე რუსებში ბლომად მოინახა.

ვისაც ამ გუნდებს შორის საბჭოური მართლა ომები უნახავს, გუშინწინდელი მატჩით ნოსტალგიას ნაწილობრივ თუ დაიკმაყოფილებდა. საბჭოურ ეპოქაში ამ გუნდების ჯახებით ხალხი სპორტულ ჟინსა და სანახაობრივ მხარესთან ერთად ეროვნულ პატივმოყვარეობასაც იკმაყოფილებდა, ახლანდელი შეხლა კი ერთობ განძარცული გახლდათ პატრიოტული გრძნობებისგან, ცსკა-ც და „ჟალგირისიც“ დღეს ინტერნაციონალური გუნდები არიან, რომელთათვისაც პირველ რიგში გამარჯვებას აქვს ფასი.

თუმც, როგორც ვთქვით, გუშინწინ მოედანზე იყო არვიდას საბონისი, მსოფლიოს მომღერალი და საბოლოოდ მაინც ძველ საგას მიბრუნებული დიადი კალათბურთელი, რომელსაც უეჭველად ყველა ჟალგირისელზე მეტად სურდა ცსკა-ს ძლევა.

მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. საწყისი 30 წუთი ისეთი სახიათის თამაში ხურდა, კაცი ვერ გამოიცნობდა გამარჯვებულს, ბოლო ათწუთეულში კი იმ რუსულმა ჩექმამ იძალა, რომელშიც დღეს ფეხი თურქს, ამერიკელს, ბერძენს, სერბს და კიდევ ვინ მოთვლის, რა ჯურის კაცსა აქვს ჩადგმული.

საბონისს სასტარტოში არ დაუწყია, მაგრამ შეცვლაზე რომ შევიდა, ძველი შემართებით დასცხო არმიელებს. ბებრის ეშმაკობანი ეპიზოდებში თავბრუს ახვევდა არმიელებს, მაგრამ ახალგაზრდულმა სულმა და ჯანმა გამოცდილებას მაინც აჯობა. ცსკა-ს ამერიკელმა გამთამაშებელმა მარკუს ბრაუნმა ვერ მოისვენა, სანამ იმდენი ქულა არ ჩააგდო, რამდენიც ევროლიგის 1000-იანთა კლუბში შეიყვანდა. ასე რომ, ევროპის უძლიერესი ლიგის მატჩებში 1000-ქულიან ზღვარს ბრაუნიც ასცდა გრეგორ ფუჩკასა და ალფონსო ფორდის კვალად.

ამ გამარჯვებით ცსკა-მ B ჯგუფში ლიდერობა შეინარჩუნა, თუმც მას ძველებურად კუდზე აზის ამ ტურში „სიენას“ სტუმრად მძლეველი „მაკაბი“.

პირველ ადგილზე, ოღონდ C ჯგუფში, აინაცვლა მანუჩარ მარკოიშვილის „ბენეტონმა“, რომელმაც ტურნირი 2 მარცხით დაიწყო, თუმც მერე მიჯრით 5 მატჩში იძალა და ევროლიგის ფინალისტის კვალობაზე შესაფერისი ადგილი მონახა ცხრილში. ტრევიზოელებმა პოლონური „შლიონსკი“ გათელეს, თუმც მარკოიშვილს წვლილი არ მიუძღვის ამ საქმეში. ის ბოლო 12 წუთი ათამაშეს და ჩვენებურმაც თავი ვერაფრით გამოიჩინა.

ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია“ კი პირიქითაა — წარმატებული დასაწყისის შემდეგ წაგებები დასჩემდა. ამ ტურში ლიუბლიანელებმა ზაგრებში წააგეს „ციბონასთან“ და ჯგუფიდან გასვლა თუ სურთ, ასეთი თამაში აღარ გამოადგებათ.

**ირაკლი პერტაია**

### A ჯგუფი

**პო ორტეზი 106:110 რომა**
ძირითადი დრო 91:91
**პო ორტეზი:** ფორესტი (30), ლუკოვსკი (23)
**რომა:** ბარტონი (22), მაიერსი (20)

**ციბონა 95:86 ოლიმპია**
**ციბონა:** რიმაცი (26), გოლემაცი (16)
**ოლიმპია:** ბაზდარიჩი (28), ბოისა (29 წუთი, 11 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი)

**ბარსელონა 92:57 ულქერი**
**ბარსელონა:** ვარეხაო (17)
**ულქერი:** ქუთლუაი (15)

**აეკ 95:92 პარტიზანი**
**აეკ:** ჯენკინსი (21)
**პარტიზანი:** ბრაუნი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 7 | 6 | 1 | +77 | 13 |
| პარტიზანი | 7 | 4 | 3 | +31 | 11 |
| პო ორტეზი | 7 | 3 | 4 | +20 | 10 |
| რომა | 7 | 3 | 4 | -9 | 10 |
| ოლიმპია | 7 | 3 | 4 | -20 | 10 |
| ციბონა | 6 | 3 | 3 | -22 | 9 |
| ულქერი | 6 | 3 | 3 | -41 | 9 |
| აეკ | 7 | 2 | 5 | -36 | 9 |

### B ჯგუფი

**ცსკა 90:81 ჟალგირისი**
**ცსკა:** ჰოლდენი (21), ბრაუნი (21)
**ჟალგირისი:** საბონისი (19), კოტა (14)

**სიენა 85:89 მაკაბი**
**სიენა:** სტეფანოვი (30), უოტერპული (25)
**მაკაბი:** პარკერი (30), ვუიჩიჩი (21)

**კრკა 64:74 პანათინაიკოსი**
**კრკა:** რიკერტი (19)
**პანათინაიკოსი:** ცარცარისი (18)

**უნიკახა 72:80 სკიპერი**
**უნიკახა:** სონკო (25)
**სკიპერი:** დელფინო (21)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 7 | 6 | 1 | +92 | 13 |
| მაკაბი | 7 | 6 | 1 | +53 | 13 |
| ჟალგირისი | 7 | 4 | 3 | +20 | 11 |
| სკიპერი | 7 | 4 | 3 | +1 | 11 |
| პანათინაიკოსი | 7 | 3 | 4 | -6 | 10 |
| სიენა | 7 | 3 | 4 | -9 | 10 |
| უნიკახა | 7 | 1 | 6 | -51 | 8 |
| კრკა | 7 | 1 | 6 | -100 | 8 |

### C ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი 96:95 ალბა**
ძირითადი დრო 87:87
**ოლიმპიაკოსი:** ლიადელისი (19), დიამანტოპულოსი (16)
**ალბა:** სტანოევიჩი (23), ბესტი (22)

**ბენეტონი 98:56 შლიონსკი**
**ბენეტონი:** ჯოვანონი (24), მარკოიშვილი (12 წუთი, 1 მოხსნა, 2 პასი)
**შლიონსკი:** გრირი (15)

**ტაუ 92:76 ვილერბანი**
**ტაუ:** მასიაუსკასი (40)
**ვილერბანი:** გულიაში (20)

**ეფესი 69:59 პამესა**
**ეფესი:** გრანგერი (23)
**პამესა:** პოპოვიჩი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 7 | 5 | 2 | +63 | 12 |
| ეფესი | 7 | 5 | 2 | +44 | 12 |
| პამესა | 7 | 5 | 2 | +34 | 12 |
| ტაუ | 7 | 4 | 3 | -35 | 11 |
| შლიონსკი | 7 | 4 | 3 | -30 | 11 |
| ოლიმპიაკოსი | 7 | 2 | 5 | -26 | 9 |
| ვილერბანი | 7 | 2 | 5 | -67 | 9 |
| ალბა | 7 | 1 | 6 | -53 | 8 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

18 დეკემბერი

**პორტლენდი 101:94 ფინიქსი**
**პორტლენდი:** მაკინისი (9), სტუდემაიერი (15), ვოლესი (15), რენდოლფი (29 ქულა, 20 მოხსნა), დევისი (10); პატერსონი (14), პერსონი (9), ბუმტიე-ბუმტიე
*სტეფანია სათადარიგო იყო*
**ფინიქსი:** მარბერი (11), ჯონსონი (17), მარიონი (20), უილიამსი (14), ვოსკული; ჰარდევეი (15), ვაიტი (12), ბარბოსა (5), ჯეკობსენი

**მინესოტა 115:109 დალასი**
**მინესოტა:** გარნეტი (35 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი), კასელი (26), ტრენტი (18 ქულა, 12 მოხსნა)
**დალასი:** ნეში (27), ჯემისონი (22), ნოვიცკი (15), ჰოვარდი (14)

**ნიუ ორლეანი 90:101 საკრამენტო**
**ნიუ ორლეანი:** დევისი (23), მაშბერნი (15 ქულა, 13 მოხსნა), ბრაუნი (15)
**საკრამენტო:** მილერი (21 ქულა, 14 მოხსნა, 9 პასი, 4 დაფარება), ბიბი (19), ჯეკსონი (18), სტოიაკოვიჩი (17)



REUTERS მიხეილ ბარკალაძე

მინესოტელი სემ კასელი, მართალია, წაიქცა, მაგრამ მეგობრებთან ერთად სტივ ნეში და მისი „დალასი“ წამოაქცია




# მოიგებს ის, ვინც მოითმენს?
## პრეზიდენტი დირექტორებს დაეკითხება

**საქართველოს** რაგბის კავშირში კვლავ დღის წესრიგში დგას ბორჯღალოსანთა მეთაურის კლოდ სორელის საკითხი. მუსიე კლოდის ბედს მომავალ კვირაში საქართველოს რაგბის კავშირის დირექტორთა საბჭო გადაწყვეტს კავშირის პრეზიდენტის ბიძინა გეგიძის მეთაურობით.

ვარიანტი თავისთავად ორია, ქართული რაგბის მამებმა ან უნდა დატოვონ ნაკრების ფრანგი გურუ ან გაუშვან. სორელი გასულ კვირას პარიზში უკვე შეხვდა ბიძინა გეგიძეს და მას თანამშრომლობის გახანგრძლივება შესთავაზა. მეტიც, ოთხწლიანი სამუშაო გეგმაც გააცნო. გეგიძეს ეს გეგმა მოეწონა კიდეც, მაგრამ როგორც ამბობს, მაშინვე არ მიუცია პასუხი სორელისთვის.

„ჯერჯერობით საფუძვლიანად არ გვისაუბრია და კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვით. ამ დღეებში დირექტორთა საბჭო შევიკრიბებით და გადავწყვეტთ, დავტოვოთ თუ არა სორელი" — გვითხრა გუშინ გეგიძემ.

ჩვენც ვიცდით.

**ბაჩო სვანიძე**

# ჰერი, ჰერი, ჩვენო ჰენრი!
## ახალ ზელანდიაში ახალი ცოცხი ნახეს



უელსიდან გამოგდებული გრემ ჰენრი ახალ ზელანდიაში პირველი კაცი გახდა

ახალი ზელანდიის ნაკრებ „ოლ ბლექსის" მთავარ მწვრთნელად 57 წლის გრემ ჰენრი დაინიშნა, ვინაც ამ თანამდებობაზე ჯონ მიჩელი შეცვალა. მიტჩელს ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის მამებმა მსოფლიოს თასზე ნახევარფინალში ავსტრალიასთან 22-10 წაგება არ აპატიეს და თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

გრემ ჰენრის კი ზელანდიის რაგბის კავშირმა ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ხოლო თუ ვინ იქნება ლოყებლაჟღაჟა სპეციალისტის თანაშემწე, ეს ჯერჯერობით უცნობია.

„ჰენრი ყველაზე კვალიფიციური მწვრთნელია, მათ შორის, ვისაც კი „ოლ ბლექსის" თავკაცობა შეეძლო" — განაცხადა ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ჯეკ ჰობსმა.

ჰენრიმ სახელი იმით გაითქვა, რომ 1996-1997 წლებში ახალზელანდიურ საკლუბო გიგანტ „ოკლენდ ბლუზს" ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატი მოაგებინა. „ოკლენდ ბლუზთან" ერთად 1996 წელს სადებიუტო სეზონში ზე-12- ის მოგებაც შეძლო და იგივე მომდევნო წელსაც გაიმეორა.

1998 წელს ჰენრი უელსში გადაბარგდა და სათავეში ჩაუდგა ქვეყნის ეროვნულ გუნდს, რომელსაც 1999 წელს ზედიზედ 10 მატჩი მოაგებინა.

ამ დროს უელსელებმა გასვლებზე თავიანთ დაუძინებელ მეტოქეებს ინგლისსა და საფრანგეთს სძლიეს.

2001 წელს ჰენრის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული „ბრიტანელი ლომების" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა ანდეს, იმ წელს „ლომები" სამ ტესტ-მატჩში 2-ჯერ დამარცხდნენ ავსტრალიელებთან.

ჰენრის კარიერა ყველაზე მეტად შეაფერხა 2002 წელს ირლანდიასთან 54:10 მარცხმა. ამ შერცხვენის შემდეგაც უელსის რაგბის კავშირმა კონტრაქტი გაუუქმა. საერთო ჯამში მისი ხელმძღვანელობით უელსის ნაკრებმა ჩატარებული 34 მატჩიდან 20-ის მოგება შეძლო.

თავის მხრივ ჰენრის წინამორბედი ჯონ მიტჩელი თანამდებობაზე 2001 წელს დაინიშნა და „ოლ ბლექსს" 27 მატჩიდან 22 მოაგებინა. „კივების" თავკაცად დანიშვნამდე ჯონ მიტჩელი ინგლისის ნაკრებს შერკინების მოთამაშეებს ავარჯიშებდა.

მიტჩელის თანამდებობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით გაოცებას ვერ მალავს ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ედი ჯონსი კაცი, რომელმაც მიტჩელის ასე ლამაზად განვითარებული სანაკრებო კარიერა შეიწირა. — „მიტჩელი ბრწყინვალე მწვრთნელია და ხანმოკლე დროში მშვენიერი ნაკრების შექმნა შეძლო. მე გაოცებული ვარ, მათი გადაწყვეტილებით, მიტჩელისთვის დრო არც მიუციათ."

ამასობაში კი დადგინდა გრემ ჰენრის პირველი სერიოზული გამოცდების ვადებიც. ახალი ზელანდიის, ავსტრალიისა და სამხრეთ აფრიკის რაგბის შეფები დაჯდნენ და 2004 წლის სამი ერის კალენდარი შეადგინეს. გამოცდა სერიოზული იქნება. ჰენრის მომავალი შეგირდები, სამი ერის ჩემპიონები არიან და ტიტულის შენარჩუნება სწორედაც რომ კარგი დასაწყისი იქნებოდა „შავების" ახალი მეთაურისთვის.

ახალი ზელანდია პირველ ორ მატჩს შინ გამართავს. უფრო მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, პირველია, რომელშიც მაორები 17 ივლისს დედაქალაქ ველინგტონში „მოსისხლე" ოზებს მიიღებენ. ჰენრის პირველ რიგში ავსტრალიის დამარცხებას მოსთხოვენ, რაკი ისტორიულ მტრობასთან ერთად კონტინენტელების სულ ახლახანს ჩადებული ბოლმაც სჭირთ.

**აჩიკო ჭუმბურიძე**

### 2004 წლის სამი ერის კალენდარი

| | |
|---|---|
| 17 ივლისი | ახალი ზელანდია — ავსტრალია (ველინგტონი) |
| 24 ივლისი | ახალი ზელანდია — სამხრეთ აფრიკა (კრაისტჩერჩი) |
| 31 ივლისი | ავსტრალია — სამხრეთ აფრიკა (პერთი) |
| 7 აგვისტო | ავსტრალია — ახალი ზელანდია (სიდნეი) |
| 14 აგვისტო | სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდია (იოჰანესბურგი) |
| 21 აგვისტო | სამხრეთ აფრიკა — ავსტრალია (დურბანი) |

$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$

# მარტო ხელფასზე არც სპორტსმენები ცხოვრობენ

**სპორტული** წელი გასრულდა და წიწილების დათვლის დროც მოვიდა. ფულისაც. სტატისტიკის მოყვარულთათვის ეს პერიოდი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ბევრი კომპეტენტური თუ უბრალოდ დაინტერესებული კანტორა გასული წლის შემაჯამებელი ცხრილების მოძიება-გამოქვეყნებას ეშურება.



ტაიგერ ვუდსმა ყვანჯის ქნევაში და კამერების წინ პოზიორობაში წელს 100 მილიონი გააკეთა

სხვის ჯიბეში ხელის ფათური ზრდილობიანი საქმე ვერაა, თუმც როცა თემა ცნობილ ხალხს და მათ მიერ ჩეჩქვით ნაშოვნ ფულს ეხება, ზომიერების ფარგლებში ესეც შეიძლება, მით უმეტეს, საქმიანი ცნობისმოყვარეობით გაჟღენთილი ჟურნალისტებისთვის. გერმანული სააგენტო SID-იც, აქაოდა ფული თუ იშოვება, სპორტში იშოვნებაო, სპორტსმენთა წლიურ შემოსავლებს ჩაუჯდა და 2003 წლის ათი კრეზიც შეარჩია შეარჩია.

სიაში მოტანილი მონაცემების სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ ერთი დასკვნის გაკეთება ნამდვილად შეიძლება. სპორტსმენთა „გაზულუქებით" შეერთებულ შტატებს ქვეყანა ვერ შეედრება.

ათეულში ევროპიდან მხოლოდ მიხაელ შუმახერი და დევიდ ბექემი მოხვდნენ, მაგრამ ისინი მეგოლფე ტაიგერ ვუდსის მონაგარს ერთადაც ვერ შესწვდებიან. ცხვირაბზუებულმა მულატმა ყვანჯოსანმა გასულ თერთმეტ თვეში იმდენის მოხვეჭა მოასწრო, მგონი დამოუკიდებელი ქართული სპორტის ლატაკ ისტორიაში ერთად რომ არ გამოყოფილმა და დახარჯულა.



მიხაელ შუმახერს არც შარშან აკლდა ფული და დიდება

ერთი შესწორებაც, ქვემოთ ჩამოთვლილმა ხელმარჯვე თუ ფეხმარჯვე ჯეელებმა მილიონების მეტი წილი არა უშუალოდ თავიანთ საქმეში აღებული ხელფასით, არამედ ტელეკამერების წინ პოზიორობაში აიღეს. მაგალითისთვის კალათბურთიდან მესამედ და ალბათ საბოლოოდ წასულმა მაიკლ ჯორდანმა 2003 წელში მხოლოდ სამი თვე დაჰყო მოედანზე და იმდენის მოხვეჭა მოახერხა, მდიდართა სიაში მეათე კაცად ჩაეწერა. როგორ გგონიათ რამდენი გადაუხადა მას თავისმა კლუბმა „ვაშინგტონ ვიზარდსმა"? სულ რაღაც 1,1 მილიონი. დანარჩენი კი კალათბურთის მეფეიმ რეკლამებით იშოვა. თავადაც ხედავთ, ეს დანარჩენი 20 მილიონზე მეტია.



2003 წლის უმდიდრესი ნბა-ელი კევინ გარნეტი

ათეულის ერთადერთი ქალი ბინადარი სერენა უილიამსიც ტრავმებმა გატანჯა. ტანჯვაცაა და ტანჯვაც, ზორბა შავდას სეზონის ორი მესამედი გაუცდა, თუმც კორტს მოშორებულმა და ათასი გასასაღებელი პროდუქციით ხელში კამერების წინ ყურებამდე გაღიმებულმაც აგე რამდენი გამოიმუშავა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### 2003 წლის სპორტსმენები (დოლარებში)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტაიგერ ვუდსი (აშშ, გოლფი) | 100 მილიონი |
| 2 | მიხაელ შუმახერი (გერმანია, ფორმულა-1) | 62 |
| 3 | დევიდ ბექემი (ინგლისი, ფეხბურთი) | 35,2 |
| 4 | ოსკარ დე ლა ჰოია (აშშ, კრივი) | 32 |
| 5 | როი ჯონსი-უმცროსი (აშშ, კრივი) | 26 |
| 6 | კევინ გარნეტი (აშშ, კალათბურთი) | 25,2 |
| 7 | შაკილ ონილი (აშშ, კალათბურთი) | 23,6 |
| 8 | სერენა უილიამსი (აშშ, ჩოგბურთი) | 22,5 |
| 9 | ალექს როდრიგესი (აშშ, ბეისბოლი) | 22 |
| 10 | მაიკლ ჯორდანი (აშშ, კალათბურთი) | 21,5 |




ნორვეგიელმაც გაიხარა: ლასე კიუსმა რვა წელიწადში პირველად მოიგო სამთო ეტაპი

**ვალ გარდენა (იტალია) სუპერგიგანტი**

ვაჟები. 19 დეკემბერი

| | |
|---|---|
| 1 ლასე კიუსი (ნორვეგია) | 1 წთ. 36,94 წმ |
| 2 შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) | 1 წთ. 37,04 წმ |
| 3 ჰერმან მაიერი (ავსტრია) | 1 წთ. 37,42 წმ |
| 4 დარონ რალვისი (აშშ) | 1 წთ. 37,78 წმ |
| 5 ჰანს კნაუსი (ავსტრია) | 1 წთ. 37,78 წმ |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 ჰერმან მაიერი (ავსტრია) | 465 ქულა |
| 2 ჰანს კნაუსი (ავსტრია) | 358 |
| 3 ლას კიუსი (ნორვეგია) | 350 |
| 4 ანდრიას შიფერერი (ნორვეგია) | 327 |
| 5 შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) | 302 |

# კარგია ალბათ თქვენთან, მთებში...

## ვიკინგებს თხილამურებით სირბილის გარდა სრიალიც შესძლებიათ

**თხილამურები** ამათთვის მოუგონიათო, ნორვეგიელების, ამ ყინულზე დასახლებული ხალხის შემხედვარე, კაცი იტყვის. სწორედაც, ოღონდ სპორტში სათხილამურო სამყარო მარტო ამათი როდია. კი ბატონო, ბარის თხილამურობაში. კილომეტრებზე გაჭიმული თითქმის სწორი ბილიკების მეფეები არიან, გამძლეობა მგლისა აქვთ, მაგრამ სამთო სახეობებში კი ჰაი, ჰაი, რომ პირველ ერად ვერ ჩაითვლებიან. მესამედ იქნებ კი, მაგრამ პირველად ნამდვილად არა.

ვიკინგების ჩამომავალი ლასე კიუსი ვერ მოუტანს თავის ერს სამთო დიდებას. და ალბათ ვერც სხვა მისიანები ამ უახლოეს წლებში. ეს ბიჭები პატარ-პატარა წარმატებებითაც ბედს ეწევიან ხოლმე და ავსტრიელთაგან დაპყრობილ სახეობაში პირველობს არ ჩემულობენ.

ანკი ამ კიუსმა როგორ უნდა დაიჩემოს პირველობა ამქარში, რომელსაც აგერ რამდენი წელია ავსტრიელი ჰერმან მაიერი და შტეფან ებერჰარტერი უსტაბაშობენ. სპორტულ სიბერეში ცალ თხილამურგადამდგარ 33 წლის კიუსს 1995 წელს მოეგო მსოფლიოს თასის ერთი ეტაპი და მას აქეთ, აგერ რვა წელია, სამთო ეტაპების სიებში მიმალულიყო. 1999 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე სუპერგიგანტსა და გიგანტურ სლალომში რაღაც მანქანებით ოქრო მოიგო, მაგრამ ეს იყო 1999 წელს, მერე კი...

ერთხელ ვაკეზეც ზვავდება თოვლი ხოლმეო... ამბობენ ნორვეგიაში. იტალიური დაბა ვალ გარდენა ასე იდუმალად რომ შემალულა დოლომიტების ალპებში, მსოფლიოს თასის სუპერგიგანტის მორიგ ეტაპს მასპინძლობდა. შედარებით დაბალი რეიტინგის მქონე კიუსი ადრეულადვე დაეშვა ფერდობზე. ფეთინივით მოჰქროდა, ლამის მთელი თოვლი ფინიშთან ჩამოიტანა. კარგი დრო აჩვენა — წუთი და 36,94 წამი. თავადაც გაუკვირდა, სხვებზე უკეთესი შედეგი რომ აღმოჩნდა. მაგრამ ვინ იცის, ვინ ჩამოართმევდა პირველობას. მის შემდეგ ბევრი ძლიერი მოთხილამურე რიხით მოიწევდა ფინიშისკენ, ებერჰარტერი, მაიერი, მილერი, ყველანი... გვარიანადაც ინერვიულა. მაგრამ ბოლო კაციც რომ დაცურდა, კიუსი უკვე იქ მყოფებში ყველაზე ბედნიერი იყო, უფალმა ავსტრიელებმა კარგად ისრიალეს, მაგრამ ნორვეგიელის დროს წამის მეასედიც ვერ მოაკლეს.

„რამდენი წელი ველოდი ამას — ამბობდა პოდიუმიდან უკვე ჩამოსული კიუსი — ხდებოდა, რომ ახლოს ვყოფილვარ პირველობასთან. მაგრამ მუდამ იძულებული ვხდებოდი მომეცადა, კვირები და წლები. აქამდე წიწილა ვიყავი, ახლა კი მამალივით ამაყი ვარ."

ებერჰარტერი მეორე იყო, მაიერი მესამე. „მოხარული ვარ ლასეს ჩვენს გვერდით რომ ვხედავ. დაბრუნებას ულოცავ" — ამბობდა ებერჰარტერი. ხოლო ჰერმინატორი ხუმრობდა, პოდიუმზე ყველაზე უმცროსი ვარო. 31 წლის მაიერი კიუსზე ორი და ებერჰარტერზე ოთხი წლით უმცროსია.

19 ოქტომბერი მართლაც ნორვეგიული დღე გამოდგა. აქსელ სვინდალმა თავისიანებში სატრაბახო მეექვსე ადგილი დაიჭირა სამი, ხოლო ბიარნე სოლბაკენმა მეთორმეტე.

საერთო ჩათვლას კი კვლავ ჰერმან მაიერი ლიდერობს, ალბათ ფიქრობს აქ მაინც ვერ მაჯობებენ ნორვეგიელებიო. საფუძვლიანი იმედია, რაკი ახლა გამარჯვებული და მესამე ადგილამდე აღზევებული კიუსი მაინც ბევრით ჩამორჩება მთის მეფეს.

**კოტე ყორშია**



რეგულარული ჩემპიონატი

# იგინლას აღარ შეაგინებენ

## ისე ურტყეს, კალათბურთელებს შეშურდებოდათ

18 დეკემბერი

**კაროლინა 2:1 პიტსბურგი**

*0:1 0:0 1:0 1:0*

**0:1 კოლცოვი (5), 1:1 ბრინდამორი (59), 2:1 ონილი (63)**

თითქოს სეზონის ტრადიციად იქცა — ახალი თავკაცის ყოველ დებიუტს მოგება ალამაზებს. ამას წინათ „ვაშინგტონმა" გაახარა გლენ ჰენლონი „ბოსტონთან" შთამბეჭდავი მოგებით (6:5), ახლა „კაროლინას" და მის ახალ მწვრთნელ პიტერ ლავიოლეტის ჯერი დადგა. მეტოქემაც ხელი შეუწყოთ — „ქარიშხლებს" აუტსაიდერი „პიტსბურგი" ესტუმრა. თუმც მძიმე ბრძოლა მაინც გაჩაღდა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს დარტყმებში სამმაგი (!) უპირატესობა (36:11) ჰქონდათ, ვერა და ვერ მოუნახეს სებასტიან გარონის კარს გასაღები და მხოლოდ ძირითადი დროის მიწურულსღა გაიხარეს, ოვერტაიმში კი რონ ფრენსისი და ჯეფ ონილი გავიდნენ მეკარესთან პირისპირ და ეს სიტუაცია ოსტატურადაც გამოიყენეს.

„ვფიქრობ, მაყურებელი კმაყოფილი დარჩებოდა. როგორც დავპირდი, ამიერიდან გუნდი უფრო აგრესიულ და თვალსასეირო თამაშს აჩვენებს. დღეს პირველი ნაბიჯი გადავდგით ამისკენ" — თქვა ლავიოლეტმა მატჩის შემდეგ. საინტერესოა, რომ მან პოლ მორისი შეცვალა, სპეციალისტი, რომელიც ლიგის ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი. იგი 28 წლის იყო, როცა გუნდს სათავეში ჩაუდგა და რვანახევარი წლის განმავლობაში ასრულებდა თავის მოვალეობას. ამდენ ხანს არც ერთ თავკაცს არ უმუშავია. მორისის განთავისუფლების თაობაზე 4-5 წელი ლაპარაკობდნენ, მაგრამ 2002 წელს მოულოდნელად თასის ფინალში რომ გავიდნენ, დროებით მიჩუმდა მითქმა-მოთქმა, ბოლოს კი მოსახდენი მაინც მოხდა.

**ბოსტონი 0:5 კალგარი**

*0:2 0:3 0:0*

**0:1 იგინლა (9), 0:2 გრინი (14), 0:3 იგინლა (32), 0:4 ლეოპოლდი (35), 0:5 მაკამონდი (38)**

„კალგარის" ფანები საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ. 7 წელია, „ალებს" თავიანთი სახელისა არაფერი შერჩენოდათ, ძლივსღა ბჟუტავდნენ და პლეი ოფისკენ თვალიც არ გაუპარებიათ, ახლა კი ისე გათამამდნენ, „ბოსტონი" გაანადგურეს მისსავე მოედანზე. თან ისეთ სნაიპერულ სიზუსტეს იჩენენ ნბა-ს ნებისმიერ მოთამაშეს შეშურდება — ორი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ 10-ჯერ დაარტყეს და 5 შაიბა შეუგდეს საბრალო ენდრიუ რეიკროფტს.

„ბოსტონის" განადგურებაში ლომის წილი კალგარის კაპიტანმა ჯეჯრომ იგინლამ (2+1) დაიდო, რომელიც თანდათან იბრუნებს ძველებურ ქონს.

**ფილადელფია 4:5 ტამპა**

*0:1 1:1 3:2 0:2*

**0:1 ლეკავალიე (18), 0:2 რიჩარდსი (39), 1:2 ამონტე (40), 2:2 რეკი (41), 2:3 სტილმანი (46), 3:3 ჰანდზუში (46), 4:3 რენიკი (49), 4:4 სან ლუი (52), 4:5 სან ლუი (63)**

ფილადელფიელმა დონალდ ბრაშირმა და ტამპელმა ანდრე რუამ მე-2 წამზევე (!) გამართეს მუშტიკრივი და ეს ემოციები მთელ თამაშს გაჰყვა. მე-16 წამზე მეორე რაუნდი გაიმართა მასპინძელ ჯიმ ვანდერმეერის და სტუმარ კრის დინგმანის მონაწილეობით, ამის მერეღა შეუდგნენ გუნდები თამაშს და გოლების წვიმაში უფრო იღბლიანები ტამპელები აღმოჩნდნენ. „ფილადელფია" შინ დაუმარცხებელი იყო, მაგრამ ახლა მესამედ წააგო საკუთარ არენაზე.

**ატლანტა 0:3 ნიუ ჯერსი**

*0:0 0:1 0:2*

**0:1 სკარლაჩი (29), 0:2 უაიტი (48), 0:3 გომესი (51)**

**მონრეალი 5:4 ნეშვილი**

*1:2 1:1 2:1 1:0*

**0:1 იორკი (2), 1:1 ზურეი (8), 1:2 უოკერი (19), 2:2 სურეი (26), 2:3 სტივენსონი (32), 3:3 ზედნიკი (42), 3:4 მიურეი (43), 4:4 კოივუ (55), 5:4 სურეი (61)**

**ოტავა 6:1 ჩიკაგო**

*1:0 2:1 3:0*

**1:0 რედენი (6), 2:0 ალფრედსონი (26), 3:0 ჰავლატი (36), 3:1 ბელი (39), 4:1 ბონკი (46), 5:1 ჰოსა (47), 6:1 ჰოსა (51)**

**რეინჯერსი 4:3 აილენდერსი**

*2:1 1:0 1:2*

**1:0 ნედვედი (11), 2:0 მესიე (17), 2:1 ბლეიკი (19), 3:1 ჰარნაბი (21), 4:1 პოტი (58), 4:2 მარტინეკი (56), 4:3 სკაჩარდი (60)**

**სენტ ლუისი 4:2 სან ხოსე**

*1:0 2:1 1:1*

**1:0 მელანბი (8), 1:1 მარლო (26), 2:1 პრონგერი (33), 3:1 მაიერსი (38), 4:1 მელანბი (56), 4:2 მაკოლი (60)**

**ედმონტონი 1:1 მინესოტა**

*0:0 0:1 1:0 0:0*

**0:1 ჟოლტოკი (35), 1:1 ისბისტერი (60)**

**ლოს ანჯელესი 4:4 ფინიქსი**

*3:0 0:1 1:3 0:0*

**1:0 ფროლოვი (4), 2:0 ვისნოვსკი (5), 3:0 რობიტაილი (20), 3:1 პრდინა (25), 3:2 ტეფი (41), 3:3 დოუნი (47), 4:3 ნორსტრიომი (56), 4:4 ნადი (59)**




ოტაველ „სენატორთა" მეკარემ როი ემერიმ მზერადა მიაყოლა ჩიკაგოელი ბრეტ მაკლინის დარტყმულს

REUTERS

**აღმოსავლეთი**

| ატლანტიკა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 32 | 17 | 8 | 3 | 4 | 93:65 | 45 |
| ნიუ ჯერსი | 30 | 17 | 7 | 0 | 6 | 73:41 | 39 |
| რეინჯერსი | 31 | 12 | 5 | 2 | 12 | 83:79 | 31 |
| აილენდერსი | 30 | 13 | 2 | 1 | 14 | 84:80 | 29 |
| პიტსბურგი | 31 | 8 | 4 | 3 | 16 | 65:110 | 23 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტორონტო | 32 | 18 | 5 | 3 | 6 | 88:74 | 44 |
| ბოსტონი | 32 | 13 | 8 | 4 | 7 | 82:81 | 38 |
| მონრეალი | 33 | 15 | 4 | 1 | 13 | 76:77 | 35 |
| ოტავა | 30 | 14 | 3 | 3 | 10 | 94:66 | 34 |
| ბუფალო | 32 | 12 | 2 | 1 | 17 | 69:88 | 27 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ატლანტა | 34 | 16 | 3 | 1 | 14 | 98:102 | 36 |
| ტამპა | 29 | 14 | 4 | 1 | 10 | 70:65 | 33 |
| ფლორიდა | 33 | 10 | 7 | 1 | 15 | 70:89 | 28 |
| კაროლინა | 31 | 9 | 8 | 2 | 12 | 58:72 | 28 |
| ვაშინგტონი | 32 | 10 | 2 | 1 | 19 | 84:101 | 23 |

**დასავლეთი**

| ცენტრი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 34 | 20 | 3 | 1 | 10 | 119:81 | 44 |
| სენტ ლუისი | 29 | 20 | 2 | 1 | 6 | 81:61 | 43 |
| ნეშვილი | 30 | 14 | 2 | 2 | 12 | 75:79 | 32 |
| კოლუმბუსი | 30 | 8 | 4 | 3 | 15 | 61:85 | 23 |
| ჩიკაგო | 32 | 7 | 6 | 3 | 16 | 59:92 | 23 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 32 | 17 | 5 | 2 | 8 | 93:72 | 41 |
| კოლორადო | 30 | 16 | 5 | 1 | 8 | 90:68 | 38 |
| კალგარი | 30 | 16 | 2 | 3 | 9 | 74:63 | 37 |
| მინესოტა | 33 | 13 | 6 | 0 | 14 | 69:69 | 32 |
| ედმონტონი | 32 | 12 | 6 | 0 | 14 | 84:94 | 30 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლოს ანჯელესი | 32 | 16 | 2 | 3 | 11 | 88:76 | 37 |
| სან ხოსე | 32 | 10 | 10 | 3 | 9 | 75:77 | 33 |
| დალასი | 32 | 13 | 4 | 0 | 15 | 65:74 | 30 |
| ფინიქსი | 31 | 10 | 9 | 1 | 11 | 79:94 | 30 |
| ანაჰაიმი | 31 | 10 | 4 | 5 | 12 | 67:84 | 29 |



# მჩხიბავები

ეს პერუელი მჩხიბავები არეკიპული „სიენსიანოს" ქომაგები არიან. მათ გუნდს გუშვეიანლამ სამხრეთ ამერიკის თასის პირველ საფინალო შეხლაში შინ არგენტინული „რივერ პლეიტი" უნდა მიელო და სწორედ ამიტომაც იყო, ისინი მატჩამდე რივერელი მარსელო სალასის ფოტოზე გაჩხიბვის რიტუალს რომ ატარებდნენ.

# მონიკას ენა

იტალიურ სამთო კურორტ მადონა დი კამპილიოში იმ დღეს სლალომისტები პაექრობდნენ. ამ გერმანელმა გოგომ მონიკა ბერგმან-შმუდერერმაც იქ ისრიალა და, რაკიღა მხოლოდ მეხუთე შედეგი აჩვენა, ენაც გამოგვიყო.






# სარაგბო ოთხმარკედი

ბრიტანეთის სამეფო ფოსტამ ამგვარი ოთხმარკედი გამოუშვა. მარკები ინგლისელთა მიერ ერთიოდ თვის წინ ავსტრალიაში მსოფლიოს სარაგბო თასზე გამარჯვებას ეძღვნება.

# ზანა

ახალზელანდიურ 30-მეტრიან იახტა „ზანას" სიდნეელმა ფოტოკორესპონდენტებმა ობიექტივი მაშინ მიუშვირეს, როცა რომ ოკლენდიდან მომავალი ეკიპაჟი სიდნეის ყურეში შედიოდა. „ზანა" სხვა ზღვისრეთულ ხომალდებთან ერთად იქაურ რბოლაში სამონაწილეოდ ჩავიდა.




REUTERS სიდნეიდან

# ამოსერფთავდა

ჰავაებზე ისევ გრძელდება დამხოშიანი სერფობა. ადგილობრივი პანჩო სალივანი ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ერთ-ერთ ტალღაზე მაინც ამოსერფთავდა. პირველ წრეში მას ავსტრალიელმა პარკინსონმა და ბრაზილიელმა როზამ აჯობეს.



REUTERS ჰონოლულუდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჭიოკხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიქრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ კულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge